

~~K 16554~~

~~2~~

K 16554
2

საქართველოს ცოციალ-დემოკრატიული მფლაონა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კარლ კაუცი.

სოციალიზმის პროგლობები და პარსევაზივები

საქანთველოში.

თარგმანი გერმანულ ხელთნაწერიდან.

გამოცემა ცენტრალურ კომიტეტისა
ჭ თბილისი, 1920 წ.

საკუთარი სტამბა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშაობა პარტია.

პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარტ პაუზი.

სოციალიზმის პროგლობიზი და პარსევაზივიზი

საქართველოში.

თარგმანი გერმანულ ხელთწაწერადან.

გ. 3. 2018 - 35299

გამოცემა ცენტრალურ კომიტეტისა
ქ. თბილისი, 1920 წ.

სოციალიზმის პროგლემები და პერსონალიზმი საქართველოში.

ჭ ი ნ ა ს ჭ ა რ ი ჭ ა ნ ი ჭ ვ ნ ა .

საქართველოს მუშათა კავშირებმა მთხოვეს გამეზიარებია მათ-თვის ჩემი შეხედულება სოციალიზმის პრობლემებსა და პერსონალიზმებზე საქართველოში. გერმანიაში, როცა ეს შესაძლებელია, ყოველ-თვის გავურბივარ საჯარო გამოსელას ორატორის როლში, რადგანაც ეს ღროსა და ძალას მართმევს სხვა დარგში—იქ, საცა შემიძლია მეტის ნაყოფიერებით ვიმუშაო. მიუხედავათ ამისა, აქ სიამოვნებით ავასრულებდი ამხანაგების სურვილს, მაგრამ ამს ხელს უშლის გარ-ღუვალი დაბრკოლება, რომელიც ჩვენი ენის სხვადასხვაობაში მდგო-მარეობს. მსმენელისათვის მეტის მეტათ მოსაწყენია რამოდენიმე სა-ათის განმავლობაში ყურის გდება იმ ორატორის, რომლის ენაც მას არ ესმის. გარდა ამისა, საუკეთესო მთარგმნელისათვისაც კი შეუძ-ლებელია ახლად მოსმენილი მოხსენების დაუყონებლივ სწორათ და უქლებლივ თარგმანა.

ამიტომ გადავწყვიტე დამეწერა ის მოხსენება, რომლის მოსმე-ნის სურვილიც გამოსთქვეს ჩემმა პარტიულმა მეგობრებმა, და დაწე-რილი მოხსენება გადამეცა გამოსაქვეყნებლად საქართველოს პარტი-ული ორგანიზაციისათვის. ეს შეძლებას მაძლევს მივმართო არა მარ-ტო ვიწრო წრეს, რომელიც ჩემს მოხსენებას მოისმენდა, არამედ სა-ქართველოს პროლეტარიატის მთელს პოლიტიკურად შეგნებულ ნა-წილს.

ორმა გარემოებამ—მოხსენების ხასიათის დაცვის სურვილმა და ჩემი ბიბლიოთეკის სიშორემ—მაიძულა დავკმაყოფილებულიყავი ზო-გად მოსაზრებებს. ის ჩონჩხი, რომელსაც ამ ბროშიურის სახით ვიძ-ლევი, სისხლ-ხორცსა და სიცოცხლეს მხოლოდ მოაზროვნე მკითხვე-ლის თანამშრომლობის საშუალებით შეისხამს.

ესა თუ ის ნაწარმოები შხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა მომქ-
მედ ძალად, თუ ის აიძულებს მკითხველს დამოუკიდებლად იფიქროს
და იმსჯელოს წამოყენებულ პრობლემებზე და თუ ჩემმა წიგნიაქმა შეს-
ძლო ასეთი ნაყოფის გამოღება, მაშინ სავსებით მიაღწევს მიზანს ეს
პატარა ძლვენი ქართველი პროლეტარიატისადმი.

კ. კაუცი.

თბილისი, 18 ოქტომბერი, 1920 წ.

I.

მ ა რ ძ ს ი ს თ ე რ ჩ ი ა .

ქვირფასო ამხანაგებო! თქვენ შემეგებეთ როგორც თქვენს მას-
წვლებელს. მე კი მოვედი არა იმისათვის რომ გასწავლოთ, არამედ
უმისათვის, რომ ვისწავლო, ვნახო — თუ რა სახე იქ्�ს სოციალისტურ
რეჟიმს საქართველოს თავისებურ პირობებში. მარქსისტულ თეორიას
ჯერ არ ჰქონია შემთხვევა შეესწავლა ისეთი წყობილება, რომელიც
თქვენ ვაქცო, რადგან წარსულში ისეთი რამ არ არსებულა. თქვენ
იძულებული იყავით სრულიად დამოუკიდებლად გაგეკვლიათ ვზა და
მარქსისტულ თეორიაში ჰქონეთ საიმედო ვზის მაჩვენებელი. ყოვე-
ლიც მარქსისტ მკლევარისათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენი
იმის გამოკვლევა — თუ როგორ გამოისახა მარქსისტული თეორიის გა-
მოყენება ამ პირობებში.

დღეს რუსეთიდან ირწმუნებიან, თითქოს სოციალიზმის სინათ-
ლე ეპროპას აღმოსავლეთით უნდა მოევლინოს. მაგრამ მარქსისტუ-
ლი თეორია წარმოიშვა არა ტიპეტში — დალაი ლამას ქვეყანაში, —
არამედ ეპროპის უკიდურეს დასავლეთში. ინგლისის პირობებში ჰქო-
ნა მარქსიმ უმდიდრესი მასალა თავისი მოძღვრებისათვის, რომელიც
უპირველს ყოვლისა ინგლისის საზოგადოებრივ ურთიერთობას ეყრ-
დნობოდა.

თქვენ, რა თქმა უნდა, გაცნობილი ხართ მარქსის მოძღვრებას; მიუხედავათ ამისა მინდა ერთხელ კიდევ მივუთითო მის დამახასი-
ოთებელ დებულებებს, რომ ხელში მქონდეს თქვენი პირობების და მის-
წრაფებების დაფასებისათვის საჭირო საზომი. სხვა სოციალისტებიაგან
მარქსი, სხვათა შორის, იმით განსხვავდება, რომ მას უმაღლესად გან-
ვითარებული მსხვილ-ინდუსტრიული კაპიტალიზმი მიაჩნია მომავალი
სოციალისტური საზოგადოების საფუძვლად. მხოლოდ მსხვილი ინ-
დუსტრია ჰქმნის საწარმოო ძალათა ისეთ სიუხვეს, რომელიც ყველა-
სათვის შესაძლებლად და ხელმისაწვდენად ხდის უზრუნველყოფილ

ცხოვრებას, საჭირო დასვენებას და განათლებას. მხოლოდ მსხვილი ინდუსტრია ჰქმნის პროლეტართა მასებს, რომლებიც არამც თუ არ არიან დაინტერესებული საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების შენარჩუნებაში, არამედ, პირიქით, დაინტერესებული არიან რომ ეს საშუალებები საზოგადო საკუთრებად გახდეს და მათი გამგებლობა საზოგადოების ხელში გადავიდეს. მხოლოდ მსხვილი ინდუსტრიის პირობებში წარმოებულ ხანგრძლივ კლისიურ ბრძოლაში იძენს პროლეტარიატი იმ ძალას და გონიეროვ სიმწიფეს, ეკინომიური პირობების გაგებას და მასიური ორგანიზაციის დისკიპლინას, რომლებიც შეძლებას მისცემენ მას დაიპყროს სახელმწიფო ძალა-უფლება და გონიერულად გამოიყენოს წარმოების გარდასაქნელად.

ას წელზე მეტია მას შემდეგ, რაც დაიწყო ინდუსტრიულ კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი მასიური გალატაკება, რამაც მაშინ პროლეტარიატი საშინლად ჩამოაქვეითა. პირველი სოციალისტები, გულშემატკიფარი ადამიანები, რომლებმაც შეიგნეს, რომ კაპიტალიზმის მიერ გამოწვეული სიღარაკის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა მხოლოდ საზოგადოებრივი, სოციალისტური წარმოების დაწესებით შეიძლება, გამოვიდენ არა პროლეტარიატის, არამედ ბურჟუაზიის წრიდან. მაგრამ მათ ვერ პპოვეს იმ დროის პროლეტარიატში საკმარისი ძალა და უნარი საკუთარი ძალ-ღონით განთავისუფლებისა. იგინი ფაქტორებდან, რომ სოციალიზმი მუშებს მათ დაუხმარებლივ, ზევიდან, ზემოთ მდგომი ძალისაგან უნდა ებოდოს. პროლეტარები კი უნდა ყოფილიყვენ მხოლოდ ობიექტი, უსიტყვო და უმოქმედო მასალა საზოგადოებრივი გარდაქმნისა და არა მისი შეგნებული მატარებელნი. ამ უმაღლეს ძალად, რომელსაც უნდა გაენთავისუფლებია პროლეტარიატი, მიაჩნდათ ან კაცომყვარე მილიონერები ან განათლებული მართველები. მაგრამ ამით იყო ფურიებისა და და ოუნების მოლოდინი, რომ ეს ძალები გარდაქმნის საქმეს შეუდგებოდენ.

სხვა აზრისანი იყვნენ გასული საუკუნის პირველი ნახევრის დროის ფრანგი რევოლუციონერები, რომელთაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაგრძობა უნდოდათ. მათ სწამდათ, რომ საუკეთესო საშუალება პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად არის სოციალისტების შეთქმულთა საზოგადოების მიერ აჯანყების გზით პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, ბიუროკრატიის და ჯარის ხელმძღვანელების გადაყენება, ამ დაწესებულებათა ნაწილობრივ დანგრევა, ნაწილობრივ კი თავისი მიზნებისათვის გამოყენება. ამ მიმართულებასაც სოციალისტური საზოგადოების დასამყარებელ სა-

შუალებათ მიაჩნდა არა პროლეტარიატის თვითმოქმედება, არამედ მისი უსიტყვო დამორჩილება პატარა, გაბედულ და თავის წინამდლოლთა მიმართ სასტიკი დისკიპლინის გრძნობით გამსჭვალულ შეთქმულთა საზოგადოებისათვის. ეს მიმართულება წარმოიშვა და გაქრა მის მამათმთავარ — **ბლანკისან** ერთად.

3. ამნაირსავე დიქტატორულ შეხედულებებს ქადაგებდა გერმანიასა და შვეიცარიაში **ვაიტლინგი**. ბლანკისა და ვაიტლინგის გავლენაში უმაღლეს წერტილს მიაღწია წარსული საუკუნის ორმოციან წლებში. ეს შეხედულებები იყო ნაყოფი პროლეტარიატის მოუწიფებლობისა. საფრანგეთში ან გერმანიაში მებრძოლ სოციალისტისთვის, რომელსაც არაფერი სწამს ბურჟუაზიის კეთილი სურვილისა, ძნელი იყო იმ დროში სხვა შეხედულებების შეთვისება. დასწყისში მარქესსაც ემჩნეოდა მიდრეკილება ამ მიმართულებისადმი და ზოგიერთი მისი ადრინდელი აზრი შეიძლება ბლანკისტურად ჩაითვალოს, თუმცა მარქსი ბლანკისა და ვაიტლინგს მუდამ კრიტიკულად ეჭიდებოდა.

ინგლისში მარქსი გაეცნო პროლეტარიატის ბრძოლის სხვაგვარ ფორმას, ვინენ საფრანგეთში და გერმანიაში. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისში კაპიტალიზმა უკვე წარმოშვა მრავალ რიცხვოვანი პროლეტარიატი და ამ უკანასკნელმა მოიპოვა კიდევაც საქმაო თავისუფლება იმისათვის, რომ მასსიური ორგანიზაციები შეექმნა და მასსიური ბრძოლა ეწარმოებია. ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლის დაკირვებამ დაანახვა მარქსს და აგრეთვე მის მეგობარს ენგელს ის ერთად ერთი ახალი ძალა, რომელსაც შეუძლია სოციალიზმის დამკვიდრება: მასსიური ორგანიზაცია პროლეტარიატისა, რომელიც იწვრონება, მტკიცდება და სოციალისტურ შეგნებას ითვისებს მასიურ ბრძოლის პროცესში. აქედან გამომდინარეობდა აგრეთვე სოციალისტების საქმიანობა და მოვალეობა პროლეტარიატის მიმართ. სოციალისტები ისე კი არ უნდა უცქეროდენ მუშებს, როგორც ჭადრაკის პაიკბს, რომლებიც შეგიძლია შენს ნებაზე აქეთით ამოძრაო; მათ მთელი თავისი ძალ-ღონე პროლეტარიატის გონიერობისა და ორგანიზაციული განვითარების დაჩქარებას უნდა შეალიონ. პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლაში მათ უნდა დაიცვან მისი საერთო და მუდმივი ინტერესები, თვით პროლეტარიატის კი შეაგნებიონ ეს ინტერესები. შეუგნებელი პროლეტარები ხშირად სრულიად მრუდე გზით ეძებენ ხსნას. კაპიტალიზმის დასაწყის ხანაში იგინი ფიქრობდენ, მაგალითად, მანქანების განადგურებას ან ქა-

ლის შრომის მოსპობას. მეცნიერული შემეცნება კი გვასწავლის, რომ მხოლოდ ისეთი მოთხოვნილება ჩაითვლება გონიერად და პროლეტა- ლიატის განთავისუფლების ხელის შემწყობათ, რომელიც შეესაბამება შრომის ნაყოფიერების ზრდას, ვინაიდან უმისოდ შეუძლებელია საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა, შეუძლებელია სოციალიზმი. სრულიად შემცდარია ის შეხედულება, თითქოს წარმოების ხელის შეშლა და შრომის ნაყოფიერების დაცემა, რახან კაპიტალიზმს ზიანს აყენებს, ხელს უწყობდეს სოციალიზმის საქმეს. პირიქით, ასე- თი მოქმედება გვაშორებს ჩვენ სოციალიზმს და თუ ამასთანავე კა- პიტალიზმსაც ანგრევს, იმავე დროს ხელს უწყობს მის აღვილას მხოლოდ კაპიტალიზმებ ადრე არსებული პრიმიტიული შრომის მე- თოდების აღდგენას და მუშებს გაცილებით უარეს პირობებში აყენებს.

დიდათ შემცდარია ის აზრი, თითქოს მუშებს მუდამ სწორად ჰქონდეს შეგნებული რა არის მათთვის უმჯობესი და თითქოს მა- სების ხმა შეუმცდარი იყოს. თანამედროვე საზოგადოება ძლიერ როულ სხეულს წარმოადგენს და ადამიანის ეგრედ წოდებული ჩვეუ- ლებრივი სალი გონების საშუალებით შეუძლებელია თანამედროვე ცხოვრების როულ პირობებში გარკვევა. ამისათვის საჭიროა მეც- ნიერული კვლევაძიება. სოციალური მეცნიერება პროლეტარულ კლა- სიურ ბრძოლასთან შეფარდებული—ე' და მხოლოდ ეს არის სოციალის- ტური თეორია.

და ვინაიდან პროლეტარიატის განთავისუფლება არ შეუძლია იმაზე გაბატონებულ ერთ მუჭა დიქტატორებს, რომლებიც თავის გუნებაზე ატრიალებენ მას იქეთ-იქით, ვინაიდან მას შეუძლია თავი- სი თავი მხოლოდ საკუთარი შეგნებული მასიური მოძრაობის სა- შუალებით განთავისუფლოს, მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეა- დგენს მეცნიერული ინტერესით აღჭურვა და მეცნიერული აზროვნე- ბის შეთვისება. სასაცილო იქნებოდა, რა თქმა უნდა, რომ თითოეულ მუშას მოვთხოვთ პოლიტიკური ეკონომიის პროფესორობა. მაგრამ ბრძოლა პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მით უფრო ნაყო- ფიერი იქნება და პროლეტარიატი მით უფრო გონივრულად აირჩევს თავის წინამძღვრებს და ბრძოლისა და მუშაობის მეთოდებს, რაც უფრო კარგად ექნება მას შესწავლილი საზოგადოებრივი სხეულის ძირითადი თვისებები, რაც უფრო კარგად ექნება შეთვისებული პროლეტარიატის წარული მოძრაობის ისტორია და მისი წარსული გამოცდილება. რაც უფრო უმეცარია პროლეტარიატი, მით უფრო

ადვილად შეიქნება ის უსინიდისო დემაგოგების და უგუნური ილოუ-ზიების მსვერპლი, მით უფრო მეტი შეცდომა და დამარცხება ხვდება მას წილად.

მაგრამ საუკეთესო სკოლა პროლეტარიატისთვის არის კლასი-ური ბრძოლა დემოკრატიის საფუძველზე. საყოველთაო საარჩევნო უფლება და პრესისა და კავშირის თავისუფლება პროლეტარიატის მასებს ორგანიზაციულად შეკავშირების და გონებრივად განვითარების საშუალებას აძლევს და ამასთანავე აიძულებს მათ მოახდინონ არჩევანი იმ მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიმართულებათა შორის, რომლებიც ებრძვიან ერთმანეთს მასების გულის მოვებისათვის. მასები იძულებული ხდებიან ყეველ მიმართულებებს დაუკვირდენ, გასაჯონ და მათ შორის არჩევანი მოახდინონ. ეს უკიდურებს მათ გონებასა და შევნებას.

პროლეტარიატმა სოციალიზმი უნდა შეითვისოს არა როგორც სარჭმუნოება, რომელსაც განუსჯელად აღიარებენ, არამედ როგორც მეცნიერული შემეცნება, რომელიც მუდამ კრიტიკის ქარცეცხლში ტარდება და ამ კრიტიკის მეოხებით მტკიცდება და უმჯობესდება სოციალიზმი უნდა მივაწოდოთ პროლეტარიატს არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული აბსოლუტი ჭეშმარიტება. არამედ როგორც განუწყვეტელი წინვლა უმაღლეს შემეცნებისაკენ.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ბეჭდვის და სიტყვის სრული თავისუფლება არსებობს. ის სოციალისტური რეჟიმი, რომელიც დემოკრატიას აუქმებს და ახშობს ყოველივე სხვა შეხედულებებს, გარდა მთავრობის მიერ მოწონებულისა, — ასეთი სოციალისტური რეჟიმი აფერხებს პროლეტარიატის გონებრივ განვითარებას. ვინაიდან საშუალებას უსპობს მას კრიტიკულად გაარჩიოს სხვადასხვა შენედულებანი. ასეთ პირობებში მრავალი გაწვრთნილი მასწავლებელიც რომ მიუყენონ მუშებს მარქსის დებულებების სასწავლებლად ამით იგინი გონებრივად წინ ვერ წავლენ, არამედ უფრო ჩამოქვეითდებიან, რადგანაც ამ დებულებებს მათ უქადაგებენ როგორც სარწმუნოების დებულებებს, რადგანაც დანაშაულად ითვლება მთავრობის მიერ ამ დებულებების ცხოვრებაში გატარების წესის გაქრიტიკება.

დემოკრატია აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის გონებრივი განვითარებისა. ამიტომა, რომ კაპიტალისტთა კლასს მუდან კარგად ესმოდა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მისთვის დემოკრატია და, საცა კი შეეძლო, მთელი თავისი ძალობრივი ეწინააღმდეგობას და განვითარებას აუცილებელია მათ უქადაგებენ როგორც სარწმუნოების დებულებებს, რადგანაც დანაშაულად ითვლება მთავრობის მიერ ამ დებულებების ცხოვრებაში გატარების წესის გაქრიტიკება.

დეგებოდა მას. არა კაპიტალიტების მეოხედით, არამედ კაპიტალისტების წინადღებული დემოკრატია ევროპაში. სრულიად შეუწყნარებელია იმის მტკიცება, თითქოს დემოკრატია კაპიტალისტებს გამოეგონოს პროლეტარიატის დასამონებლად. რომ ამ მტკიცებას ჭეშმარიტების სახე მიეცეს, დემოკრატიის ვითომდა შემომლებად ასახელებენ არა კაპიტალისტთა კლასს, არამედ ბურჟუაზიას. მაგრამ ესეც სიყალბენა. მართალია მხოლოდ ის, რომ დემოკრატიის განხორციელებაში დაინტერესებულია არა მარტო პროლეტარიატი, არამედ ყველა ის კლასები, რომლებიც საკუთარი შრომით ცხოვრიბენ: წვრილი გლეხობა, წვრილი ხელოსნები, ინტელიგენტები. ამიტომაც იყო, რომ დემოკრატიისათვის ბრძოლაში პროლეტარიატი მარტოდ მარტო არასოდეს ყოფილა, მუდამ პირველ რიგში იყო კი.

იმ დროში, როცა მარქსმა სოციალიზმი შეითვისა, ინგლისის მუშები გართული იყვნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლაში. და ინგლისის ბურჟუაზია ისეთის დაუკინებით ეწინააღმდეგებიდა ამ უფლების დაწესებას, რომ ის ინგლისში საცხებით მხოლოდ ეხლა, უკანასკნელ ომის დროს იქნა განხორციელებული; კავშირთა თავისუფლებასაც დიდხანს იყვნენ მოკლებული ინგლისის მუშები: წარსული საუკუნის პირველ ნახევარში ათეული წლების განმავლობაში იბრძოდენ ისინი ამ თავისუფლებების მოსაპოებლად.

ამნაირად, უკიდურეს სისულელეს და სიყალბეს სხადიან, როცა დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ წყობილებას »ბურჟუაზიულ დემოკრატიათ« ნათლავენ და ამით ცდილობენ შეაზიზონ ის პროლეტარიატს. თითქმის ყველა ქვეყნებში, გარდა იმ ქვეყნებისა, საკა ის გლეხური სახელმწიფოს მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, დემოკრატია მძიმე ბრძოლით იქნა მოპოებული პროლეტარიატის მიერ ექსპლოატატორთა კლასის წინააღმდეგ. ამას სრულიად არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ აგრარიულ ქვეყნებში, როგორიც იყო საფრანგეთი და პრუსია გასული საუკუნის შუაგულში, თვითმყრობელობის პოლიტიკისებს, როგორც ნაპოლეონ შე-III-ს და ბის-მარქს, საყოველთაო საარჩევნო უფლება მათი ძლიერების გამამტკიცებელ საშუალებად მიაჩნდათ. მათთვისაც საყოველთაო საარჩევნო უფლება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბატონობის საშუალება იყო. მაგრამ იგინი ვერ გაბედავდენ მიენიჭებიათ ხალხისთვის სრული დემოკრატია—საყოველთაო საარჩევნო უფლებასთან ერთად პრესის და კავშირების სრული თავისუფლებაც. და შემდეგ გამოაშკარავდა, რომ ეს მათი სპეცულიაცია საყოველთაო საარჩევნო უფლებით დიდი სი-

ბეცე იყო მათის მხრით. ბისმარქმა ბოლოს ბევრი ინანა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება. მართალი იყო მარქსი, როცა სატრანზეთის მუშათა პარტიის მის მიერ შედგნილ პროგრამაში საყველთაო საარჩევნო უფლებას ახასიათებდა როგორც საშუალებას, რომელიც შეიძლება რამდენიმე ხნით ბრროტათ იქნეს მოხმარებული მუშების მოსატყუებლად, მაგრამ რომელიც მუშების სოციალისტურ გათვითცნობიერებას ხელს უწყობს და ამნაირად მათი განთავისუფლების იარაღად ხდება.

და, ვინ იცის, იგივე რევოლუციონერები, რომელებიც დღეს რუსეთში ასე აბიაბურებენ «ბურუუზიულ დემოკრატიას», შეიძლება ხვალ იძულებული გახდენ თავის სახსნელად ხელახლა დაიწყონ ამ დემოკრატიისათვის ბრძოლა.

~~×~~ უმაღლესად განვითარებული ინდუსტრიული კაპიტალიზმი, შრომის მაღალი ნაყოფიერება, იმდენად დაწინაურებული დემოკრატია, რომ მასებს შეკავშირების და გონებრივი განვითარების საშუალებას აძლევდეს, მრავალრიცხვოვანი და კარგად გაწვრთნილი ინდუსტრიული პროლეტარიატი, — აი სოციალიზმის წინასწარი პირობები მარქსის თეორიის მიხედვით.

ეს პირობები ყველაზე უფრო დასავლეთ ევროპაში იყო მომზადებული, სახელდობრ ინგლისში და გერმანიაში. ამერიკა კი, რომელიც ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერ მაღლა სდგას, მოკლებულია გაერთიანებულ მუშათა კლასს. ამერიკის მუშათა კლასი დაქსაქსულია. იგი განიყოფება მოსულ და ადგილობრივ ნაწილებათ. ადგილობრივი მუშებიც დაყოფილი არიან თეთრ და შავ კანიანებათ, მოსულები კი — ეკროპისა და აზიის სხვადასხვა ეროვნებებათ. ყველა ამათი გაერთიანება ძალიან ძნელია.

ჩვენ მოველოდით, რომ ინგლისში და გერმანიაში დაიწყებოდა პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობა და წინსვლა სოციალიზმის გზით. მაგრამ აი ასტყდა მსოფლიო ომი, აღმოსავლეთს მოედვა რევოლუცია და ბევრს მოეჩვენა თითქოს მარქმის თეორია თავდაყირა გადატრიალდა, თითქოს სოციალიზმის საუკეთესო წინასწარ პირობას შეადგენდეს არა კაპიტალისტური სიმღიდრე, არამედ ბარბაროსული სილატაკე, არა დემოკრატია, არა-მედ თვითმპრობელობა.

II

იმ დროს, როდესაც დასავლეთ ეკროპაში უმაღლეს წერტილამდე განვითარებულმა კაპიტალიზმა მოამზადა წინასწარი პირობები საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისათვის, აღმოსავლეთში, სახელდობრ რუსეთში და მის განაპირა სახელმწიფოებში, ახლად განვითარებულმა კაპიტალიზმა წარმოშვა პირობები სხვაგვარი რევოლუციისათვის. ეს უკანასკნელი რევოლუცია წააგავს იმ რევოლუციებს, რომლებიც მოხდა დასავლეთ ეკროპაში მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და რომლებმაც გაანთავისუფლა და წინ წასწია საზოგადოება. ეს არის რევოლუცია თვითმშეყრობელობის, უცხოელთა ბატონობის, ფეოდალურ წყობილების ნაშთების წინააღმდეგ მიმართული. ამნაირად, აღმოსავლეთის რევოლუციათა მინები უნდა ყოფილიყო წმინდა ბურჟუაზიული. მაგრამ აღმოსავლეთ ეკროპაში რევოლუციური მოძრაობა ვითარდებოდა სხვაგვარ პირობებში, ვინემ მე-18 და მე-19 საუკუნის რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ ეკროპაში. ახლად განვითარებული კაპიტალიზმის დროის პროლეტარიატი იმ საუკუნეებში ჯერ კიდევ სავსებით ბურჟუაზიული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. აღმოსავლეთში კი ახლად განვითარებული კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი პროლეტარიატი, პირიქით, ეყრდნობოდა უკვე უმაღლესად განვითარებულ დასავლეთ სახელმწიფოების პროლეტარიატის გამოცდილებას და იმ თავითვე აღჭურვილი იყო სოციალისტური იდეებით და კლასიური შეგნებით. მიუხედავათ მისი ჩამორჩენილობისა და ნაკლები განვითარებისა, თავის რევოლუციურ ბრძოლას ის უკვე აწარმოებს არა ბურჟუაზის სასარგებლოთ, არამედ შეგნებულად მის წინააღმდევ.

და ამავე ხსიათისაა, რევოლუციური ბრძოლა ინტელიგენციისა, რომელიც დღესაც ისეთსავე დიდ როლს თამაშობს რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც ასი წლის წინად. მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დასაწყისში ყველა მებრძოლი რევოლუციონერები იდგნენ ჯერ კიდევ ბურჟუაზიული ეკონომისტის ნიადაგზე, რომელიც იმ დროს შეესაბამებოდა ეკონომიკურ მოთხოვნილებებს. როდესაც შემდეგ, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთის ქვეყნების ინტელიგენცია გაიმსჭვალა რევოლუციური სულისკვეთებით, მან საჭირო ცოდნის მოსაპოებლათ მიმართა უფრო განვითარებულ დასა-

ვლეთს. მაგრამ იმ დროს აქ ლიბერალიზმი უკეთ კონსერვატიულ ძალას წარმოადგენდა; რევოლიუციური აზროვნება კი სოციალისტურ ფორმებში იყო ჩამოყალიბებული. და ამნაირად, აღმოსავლეთის ინტელიგენტები, რამდენადაც იგინი რევოლიუციურათ იყვნენ განცხობილი, იმ თავითვე სოციალისტები გახდნენ; მათ შორის სოციალიზმი უფრო გავრცელებული იყო, ვინემ დასავლეთის ინტელიგენციის მასაში, რომელმაც დაჲკარგა რევოლიუციური სულისკვეთება. მაშინ როდესაც რუსეთის იმპერიაში ყოველივე მოწინავე სტუდენტებისათვის სოციალისტური ლიტერატურის ცოდნა თავმოყარებობის საკითხს შეადგენდა, გერმანიაში უკანასკნელ რევოლიუციამდე სანთლით მოსანახავი იყო სოციალიზმით დაინტერესებული სტუდენტი.

ამნაირად, აღმოსავლეთში შეიქმნა წინააღმდევობით ოსახესე მდგომარეობა: მატერიალურმა პირობებმა რევოლიუციურ მოძრაობას ბურჯუაზიული მიზნები დაუსახა; ხოლო საერთაშორისო მდგომარეობამ ამ რევოლიუციის მატარებლად ანტიბურჯუაზიული პროლეტარები და ინტელიგენტები გაქხადა. ეს გარემოება წინასწარ ვერ გაითვალისწინა მარქსისტულია თეორიამ, ვინაიდან ეს თეორია დასავლეთ ევროპის ურთიერთობაზე აღმოცენდა. მაგრამ ეს წინააღმდევობა არ გამოაშკარავებული საქსებით მანამ, სანამ რევოლიუციურ მოძრაობას არ გაემარჯვა აღმოსავლეთში და სანამ არსებობდა შესაძლებლობა, რომ აღმოსავლეთს უფრო დაწინაურებული დასავლეთი დაასწრობდა თავისი პროლეტარული რევოლიუციით. სოციალისტური ფორმები რომ შექმნილიყო უმაღლესად განვითარებული კაპიტალიზმის სახელმწიფოებში, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამ ფორმების გადაღება იმ სახელმწიფოების მიერ, საცა კაპიტალიზმი ნაკლებათაა განვითარებული. მარქსი ნათლად იმბობს, რომ ერთ ერს შეუძლია ისწავლოს სხვა ერებისაგან და ამით საკუთარი განვითარება დააჩქაროს. მარქსის თეორიას არ შეესაბამება მხოლოდ ის შეხედულება, თითქოს ჩამორჩენილ ერს შეეძლოს სოციალური განვითარების მაგალითი და გზა უჩენის ეკონომიკურად დაწინაურებულ ერებს.

ეხლა, უკანასკნელი ომის წყალობით თითქოს სწორედ ასეთი პარადოქსული მდგომარეობა შეიქმნა. ომში გამოიწვია რევოლიუცია, მაგრამ მხოლოდ დამარცხებულთა და არა გამარჯვებულთა ჭვეუნებში. დასავლეთის დიდი დემოკრატიები—ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა მილიტარულათ უფრო ძლიერნი აღმოჩნდენ, ვინემ აღმოსავლეთის მილიტარისტული მონარქიები—რუსეთი, ავსტრია და გერმა-

ნია. ამ გარემოებამ გაამაგრა კაპიტალისტური მთავრობები დასა-
ვლეთში, აღმოსავლეთში კი გამოიწვია არა მარტო მთავრობების,
არამედ იგრეთვე მთელი დინასტიების დაშობა.

მაგრამ ავსტრიაში და გერმანიაში არსებობდა ჯერ კიდევ მძლა-
ვრი კონსერვატიული ჯგუფები, უპირველეს ყოვლისა ეკონომიუ-
რად რეაქციონური, მაგრამ პოლიტიკურად კარგად გაწვრთნილი და
შეკავშირებული ძლიერი გლეხობა, მასთან ერთად—უკიდურესად
რეაქციონური ინტელიგენცია და, სახელდობრ გერმანიაში, ძალო-
ნით აღსავს კაპიტალისტთა კლასი. რუსეთში, პირიქით, კაპიტალის
უდიდესი ნაწილი საზღვარ გარეთიდან იყო შემოსული, შინაური კა-
პიტალი სუსტი და დამოკიდებული, მთავრობის ოპერას ჩვეული იყო;
ინტელიგენციის ერთი ნაწილი რევოლუციური, მეორე კი უილაჯო
და მორჩილი იყო.

გლეხები, გერმანიისა და ავსტრიის მაგალითის წინააღმდეგ,
რევოლუციურად განწყობილი აღმოჩნდენ, მაგრამ ამასთანავე სრუ-
ლიად უვიცნი და პოლიტიკურად მერყევნი. ამნაირად, ავსტრიის
ნაგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოების და გერმანიის მაგალი-
თის საწინააღმდეგოდ, რუსეთის რევოლუციამ ქალაქის ინდუსტრიულ
პროლეტარიატს და სოციალისტებს არგუნა პოლიტიკურად განუყო-
ფელი ბატონობა ისეთ სახელმწიფოში, რომელიც ეკონომიურად ჯერ
კიდევ ძლიერ შორს იყო სოციალისტური წარმოებისათვის საჭირო
პირობების განვითარებისაგან. რევოლუციამ, რომელიც მსოფლიო
ომს მოჰყვა, პირველად ევროპის ეკონომიურად ყველაზე უფრო ჩამო-
რჩენილ ქვეყანაში მიანიჭა პროლეტარებს და სოციალისტებს განუ-
ყოფელი ბატონობა. ამით აღმოსავლეთის რევოლუციაში ჩასახულმა
წინააღმდეგობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

რა უნდა ექნათ? არც ერთი კლასი და არც ერთი პარტია
არ აიღებს ნებაყოფლობით ხელს ბატონობაზე, რახან ეს უკანასკნე-
ლი მას წილად ხვდა. თვითოველი მათგანი ცდილობს შეინარჩუნოს
ძალა-უფლება, რათა ის თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოი-
ყენოს. მაგრამ რა შეეძლო გაეკეთებია სოციალიზმის სასარგებლოთ
იმ სოციალისტურ პარტიას, რომელსაც ასეთ არა ხელსაყრელ პირო-
ბებში ხვდა წილად ძალა-უფლების ხელში აღება?

ორგვარი გზა იყო მის წინაშე:

პირველი მოუწოდებდა მას არ ელალატნა მარქსის მეთოდისა-
თვის და ცდილოყო გამოეყენებია ის აღმოსავლეთის თავისებური
პირობების მიხედვით. ამ გზით სვლა ადვილი არ იყო; უფრო მიმზი-

დველად და ადვილად უნდა მიეჩით მეორე გზა, რომელიც შოთა თხოვდა დავიწყებისათვის მიეცათ მარქსისაგან ნაანდერძევი უძვირფასესი დებულებები, ვინაიდან ეს დებულებები იმ წუთში სწრაფი, დაუდგრომელი კვეთების შემატერხებლად იქნა მიჩნეული.

მარქსმა დაამტკიცა რომ შეუძლებელია გადაახტე განვითარებისათვის აუცილებელ საფეხურს და რომ სოციალიზმისათვის კაპიტალიზმი სწორედ ასეთ წინასწარ საფეხურს შეადგენს. პლეხანოვმა და აქსელროდმა გამარჯვება მოუპოვეს ამ კეშმარიტებას ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლით, რომელსაც ლენინიც შეუქრთდა. ეხლა კი, რევოლუციის დროს, ეს კეშმარიტება ძლიერ ხელის შემშეღლად მიიჩნიეს და ამიტომაც მოურიდებლათ უკუ აგდეს იგი ბალშევიჭებმა. იგინი დაუბრუნდენ ძველ უტოპიზმს, რომელსაც ეგონა თითქოს სოციალიზმის განხორციელება დამოკიდებული არ იყოს განსაზღვრულ ისტორიულ პირობებზე, თითქოს მის ცხოვრებაში გასატარებლად საქმარისი იყოს სოციალისტური პლანი და რამოდენიმე მედგარი სოციალისტის მტკიცე ნებისყოფა და მომქმედი ძალა. ეს ნებისყოფა და ძალა მათ არ აკლდათ. ამასთანავე ისინი თავისთავს მარქსიზმის კეშმარიტ მემკვიდრეებად სოვლიდენ. მაგრამ მარქსისაგან მათ გადმოღებული აქვთ მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა, რომლებსაც ისინი ხმარობენ; **აზრი** კი, რომლითაც ამ სიტყვებს იყენებენ, არის აზრი ბლანკისა და ვაიტლანგისა და სწორედ ამიტომ გამოიწვია დასაწყისში ბოლშევიზმი ისეთი დიდი თანაგრძნობა აღმოსავლეთის პროლეტარიატის ეკონომიურად გაუწევრთნელ ნაწილებში. როგორც ბლანკისა და ვაიტლინგის მოძღვრება, აგრეთვე ლენინისა და ტროცკის ეხლანდელი შეხელულებები შეესაბამება კაპიტალისტური წარმოების განუვითარებელ ფორმას და განუვითარებელ ინდუსტრიულ პროლეტარიატს. და ვინაიდან ბოლშევიური რევომი შეესაბამება რუსეთის ცხოვრებას, სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი ის ხანგრძლივობა, რომელსაც ის იჩენს; მაგრამ სწორედ იმავე გარემოებას მოსდევს ამ რევომის ეკონომიური უძლურებაც, რომელიც მას დაამხობს. ბოლშევიზმი წარმოადგენს ბლანკიზმის განხორციელების ვეებერთელა ცდას. მაგრამ მარქსი, რომელიც თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ახლო იდგა ბლანკისტურ იდეებთან, ტუსილად კი არ დაშორდა მათ თანდათან

ძნელია იმისი თქმა—თუ რამდენ ხანს გასტანს კიდევ ბოლშე ვიზმის ბატონობა და რა ფორმებს მიიღებს სახელმწიფოებრივი ძალ უფლება ამ ბატონობის დროს; მაგრამ ერთი რამ უკველია—ბალშე

ვიზმის ცდამ სრულიად ვერ მიაღწია მიზანს: სამხედრო შესით და-რაზმულმა უმცირესობამ, რომელიც თვითონ რამდენიმე ღიქტატო-რის ბრძანებას ემორჩილება, ვერ შესძლო უხეში ფიზიკური ძალდა-ტანების საშუალებით სოციალისტური წესწყობილება მოხევია თავს უკრც, უდისციპლინო ხალხის მასებისათვის დაწინაურებულ ინდუ-სტრიას მოკლებულ ქვეყანაში. სოციალიზმი შეუძლებელია ქვეყნის საწარმოო ძალისა და ნაყოფიერების განუვითარებლად. ბალშევიზმა კი თითქმის სავსებით გაანდგურა რუსეთის ომის მიერ ისედაც ძლიერ შერყეული საწარმოო ძალა.

ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის; ეს არის აუცილებელი შე-დევი ბალშევიკური მეთოდებისა. მათი საქმიანობა ორ უკიდურე-სობას ეხეთქებოდა; პირველად მათ გზა მისცეს სრულ ანარქიას. გლეხები ეპატრონებოდენ დიდი მემამულების მიწებს როგორც მათ მოხსასიათებოდათ. მუშები ეპატრონებოდენ ფაბრიკებს და განაგე-ბდენ თავის ნება-სურვილზე. როდესაც ამან ინდუსტრიულ წარმოე-ბის ჩქარი ნაბიჯით დაცემა გამოიწვია, საბჭოთა მთავრობა მეორე უკიდურესობას მიაწყდა; მან დაუქვემდებარა სახელმწიფო იურიდიკური საწარმოო დაწესებულებები სასტიკ ბიუროკრატიულ ან სამხედრო დისციპლინას.

როგორც პირველის, აგრეთვე მეორე პრინციპის შედეგი უნდა ყოფილიყო წარმოების დაქცევა. მსხვილი წარმოება ვერავითარ შემ-თხვევაში ვერ აიტანს ანარქიას. წვრილ წარმოებაში, საცა 1—2 მუშა მუშაობს, ისეთი მნიშვნელობა არა აქვს მუშის უდროო დროს მო-სვლის ან წასვლას, ან ზედმეტ დასვენებას და სხვ.. აქ მუშას შეუ-ძლია ხვალ ზედმეტი მუშაობით შეავსოს ის, რაც დღეს დააკლო წარმოებას. მსხვილი წარმოება კი მოითხოვს, რომ ყველა დანიშნულ დროზე გამოცხადდეს სამუშაოთ, ყველა მუყაითად მუშაობდეს, ყველა ერთსა და იმავე დროს ისვენებდეს. თუ ყველაფერი თავის დროზე და თავის რიგზე არ ხდება, აქ ისე საქმე წინ ვერ წაიწევს. კაპიტა-ლიზმი ავითარებს მუშებში ამ თვისებებს, რომელსაც მოკლებულია მუშა—ხელოსანი და ეს თვისებები მუშებისთვის აუცილებლივ საჭი-როა აგრეთვე სოციალისტურ წარმოებაში.

მაგრამ განვითარებული ინდუსტრია ვერ იტანს როგორც ანარ-ქიას, აგრეთვე იძულებითი მუშაობას. იძულებითი მუშაობის ნაყო-ფია ნაძალადევი, გულაგდებული შრომა, სამუშაო მასალის გაფლანგვა, სამუშაო იარაღების ტლანქად მოხმარა, რაიცა შეუძლებლად ხდის სათუთისა და რთული მანქანების გამოყენებას და რთულ, კვალიფი-

ციურ შრომას. მონობის და ბატონ-ყმობის საფუძველზე შეუძლებელი იყო თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის განვითარება; მისი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დაქირავებული შრომის ნიადაგზე. მონასთან და ყმასთან შედარებით დაქირავებული მუშა თავისუფალი ადამიანია და ის უფრო და უფრო თავისუფლდება, რამდენადაც კლასიური ბრძოლა მის პოლიტიკურსა და პროფესიულ ორგანიზაციებს ავითარებს და ამით მას ამაგრებს და წელში მართავს.

მაგრამ ვერც დაქირავებული შრომა აღწევს საზოგადოებრივი შრომის უმაღლეს ფორმებს, რადგანაც ისიც იძულებითი შრომის ბევრ ელემენტს შეიცავს. უმაღლესი შრომის ნაყოფიერების პირობები მხოლოდ იქ არსებობს, საცა პოლიტიკური და პროფესიული ბრძოლის მეოხებით ნებაყოფლაბითი ღისციპლინა, საერთო ინტერესის შევნება და მოვალეობის გრძნობა იმდენად განვითარებულია მუშებში, რომ იგინი აღიარ საჭიროებენ კაპიტალისტურ დისკიპლინას. თვით კაპიტალიზმა გამონახა მუშებისათვის მუშაობის წამქეზებელი საშუალებები, მაგალითად, საკურადო ხელფასი. კაპიტალისტურ პირობებში ეს წამქეზებელი საშუალება ზედმეტ მუშაობას იწვევს და მაგრად მას დამლუჰველი შედეგები მოსდევს. ხოლო იქ, საცა პროფესიული კავშირები საკმაოდ ძლიერია, მით უმეტეს სოციალისტურ პირობებში, ასეთ წამხალისებელ საშუალებას ძლიერ სასარგებლო შედეგების მოტანა შეუძლია.

ამნაირად, მსხვილ ინდუსტრიაში ვითარდება წინასწარი პირობები კეშმარიტად თავისუფალი შრომისათვის, კაპიტალისტური დისკიპლინის ნაცვლად სოციალისტურის შემოღებისათვის და მით მუშათა კლასის განვითარებისათვის.

რუსეთში, რომელსაც ბოლშევიზმი დაეპატრონა, ასეთი თავისუფალი დისკიპლინა ნაკლებად იყო განვითარებული. ბალშევიკურმა მეთოდებმა კი ამ დისკიპლინის ჩანასახი არამც თუ არ გააძლიერა, არამედ სრულიად აღმოფხვრა. ჯერ ანარქია უსპობდა მოწესრიგებულ მსხვილ ინდუსტრიას არსებობის საშუალებას. შემდევ შემოღებული ბიუროკრატიული და სამხედრო დისკიპლინა ძლიერ წაგავდა მონაბას და ბატონებობას და მას არ შეეძლო ხელი შეეწყო უმაღლესად ნაყოფიერი—რთული და კეთილსინიდისიერი შრომისათვის.

ამნაირად, მსხვილი ინდუსტრია უფრო და უფრო ეცემოდა და მასთან ერთად უნდა ჩამოქვეთებულიყო გლეხობაც, რადგანაც შეუძლებელია უინდუსტრიოთ მას მრავალი მისთვის აუცილებელი სამუშაო იარაღი მიაწოდო.

ამ ეკონომიურ დაქვეითებას ყოველ შემთხვევაში გამოიწვევდა ბოლშევიზმი — მაშინაც კი, ანტანტისთან ფარული ომი და შეგნიდ აშვარი სამოქალაქო ომი რომ არ ჰქონოდა. ამ ომებმა საბოლოოდ გაანადგურეს რუსეთის ისედაც დაღუპვის გზაზე მდგარი მეურნეობა. მაგრამ ეს ომებიც ხომ ბოლშევიური პოლიტიკის ნაყოფია.

ყოველივე ანტიკაპიტალისტური სახელმწიფო ძირიანად ეწინა- იღმდევება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. მაგრამ, როდესაც ამ სა- ხელმწიფოებთან ფორმალურად ზავის ჩამოვდებას ცდილობ, ხოლო იმავე დროს ხელს უწყობ შეთქმულებებს მათ დასამხობათ და იმით პრაქტიკულად ომს უცხადებ მათ, — ეს არის მათი ზრახვებისათვის ხელის შეწყობა. ასეთმა მოქმედებამ ხელი შეუწყო არა მსოფლიო რევოლუციას. არამედ რუსეთის ბლოკადას.

შინაური სამოქალაქო ომი კი არის აუცილებელი შედეგი დი- კტატურისა, რომელიც არ ითმენს არც ერთ ფორმის პპოზიციისას, გაორდა შეიარაღებული ჯანყებისა.

ყველა ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ რუსეთში ბოლშევიური მეთოდების წყალობით მოისპო არა მარტო კაპიტალისტური მრეწვე- ლობა, არამედ მასთან ერთად იგრძევე საერთოდ მსხვილი მრეწვე- ლობა და ცხოვრების ყოველივე უმაღლესი ფორმა. ასე რომ ქვე- ყანა ბარბაროსობაში ჩაგრძა; რუსეთი უფრო და უფრო შორდება მუშათა თეითმოქმედებაზე დაშარებულ სოციალიზმს იმის მავიცად, რომ დაუახლოვდეს მას.

III.

გ ა რ თ უ ლ ი გ ე თ ო დ ი.

ის მეორე გზა, რომელიც უკუაგდეს ბოლშევიკებმა, აირჩიეთ თქვენ საქართველოში. ცარიზმი აღმოცენებული იყო შიდა რუსეთის საზოგადოებრივი პირობების ნიადაგზე. მას ისე ღრმად ქონდა ვა- დგმული ფესვები ამ პირობებში, რომ აქ ადგილათ უნდა წარმოშო- ბილიყო აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს ხალხის მასების იმავე მეთოდებით განთავისუფლება, რომელთაც სარგებლობდა იქამდი ცა- რიზმი ამ ხალხის გასაყვლეფად და დასამონაცებლად. სრულიად სა- მართლიანად ადარებდა გორქი ლენინსა და პეტრე ღილს ორთავეს მეთოდი ძლიერ წააგავს ერთმანეთს. სხვა იყო მდგომარეობა შიდა რუსეთის ირგვლივ მდებარე ქვეყნებისა, საღაც განსხვავებული სო- ციალური ურთიერთობა არსებობდა, და რომელთაც განსხვავებული

ისტორია ჰქონდათ; აქ ცარიზმის ბატონობას საფუძვლად ედო არა
მისი ქვეყნის განსაკუთრებული პირობები, არამედ მისი ჯარების
სიძლიერე.

ცარიზმის დამხობის შემდეგ ამ განაპირა ქვეყნებში რევოლუ-
ციურ მოძრაობას ბალშეეიკური ხასიათი არ შეულია. სოციალისტთა
უმრავლესობამ ამ სახელმწიფოებში უკუაგდო შეოქმულთა საზოგა-
დოების დიქტატურა და დემოკრატიის იდეის ერთგული დარჩა, იმ
იდეის, რომელიც ყველა ქვეყნის პროლეტარების კლასობრივ ბრძოლის
აფრთხოვანებდა დასაწყისიდან რუსეთის მეორე რევოლუციამდე და
რომელიც ეხლაც თერთოვანებს ამ ბრძოლის უმაღლესი ულტიურის ყვე-
ლა ქვეყნებში. იმ სოციალისტების უმეტესი ნაწილი, რომლებიც,
ვთქვათ, საფრანგეთში ან გერმანიაში რუსეთის ბოლშევიზმის სიტყვით
გუნდრუკს უკმევენ, სრულიადაც არ ფიქრობს თვის ქვეყნაში საქ-
მეო აქციოს ბოლშევიზმი, ხოლო ისეთები, ვინც ში' საქმით განხორ-
ციელებას ჰქიქრობენ, უმეტესად ან უსინიდისო დემაგოგები, ან უვი-
ცი ხამები არიან. ხშირად ერთიც და მეორეც

თქვენ აღიარეთ დემოკრატია და მით უარყოვით ხალხის მასე-
ბისთვის სოციალისტების ძალად თავზე მოხვევა. რა თქმა უნდა, დემო-
კრატიაც შეიძლება იძულებული გახდეს ძალადობის საშუალებას მი-
მართოს, თუ იმას ამავე საშუალებებით ემუქრებიან. მაგრამ ვინც
დემოკრატიის ნიადაგზე სდგას, მას უმაღლე, სუვერენით ხალხის
უმრავლესობის ნებისყოფა მიაჩნია. ამ ნებისყოფას ის ბრძად კი
არ ექვემდებარება, არამედ ოპოზიციას უწევს უმრავლესობის ნე-
ბისყოფის, თუ ეს უკანასკნელი მის საკუთარ რწმენას ეწინააღმდე-
გება; მაგრამ ის არ შეეცდება ძალადობის საშუალებით თავზე მო-
ხვიოს უმრავლესობას უმცირესობის ნებისყოფა, მინაირად, დემოკრა-
ტია ყველა სხვა სახელმწიფოებრივ ფორმაზე მეტად უსპობს ნიადაგს
სამოქალაქო ომის შესაძლებლობას და, მით უმეტეს, მის აუცილებ-
ლობას და ხელს უწყობს კლასთა და პარტიათა ბრძოლის მშვიდობიან
ფორმებს; ა' ეთი მშვიდობიანი ფორმები კი აუცილებლად საჭიროა სო-
ციალისტური საზოგადოების ასაშენებლათ და მისი საწარმოო ძალების
გასავითარებლად. ცარიზმის დასამხობათ აუცილებელი იყო ძალმომ-
რეობითი მეთოდები. ახალი საზოგადოებრივი ფორმების განვითარე-
ბას ახერი მეთოდები ხელს კი არ შეუწყობს, არამედ მხოლოდ
შეაფერებს.

დემოკრატია, რამდენდაც კი შესაძლებელია, მცირებს სამო-
ქალაქო ომის ატების საშიშროებას; კიდევ მეტი: დემოკრატიის პი-

როგებში სოციალიზმი ხორციელდება როგორც ხალხის უმრავლესობის ნებისკოფის ნაყოფი, როგორც ნაყოფი ხალხის უმრავლესობის მოყაით მუშაობისა მის დასამკიდრებლად. და ეს არის ერთად-ერთ გზა სოციალისტური ურთიერთობის დასამყარებლად, ვინაიდან სოციალიზმი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სახოგადოება ამიერიდან აღარ ანებებს თავისი ეკონომიური სკეპტიზმის მართვას რამდენიმე კაპიტალისტს და მიწის მსხვილ მემმულეს, არამედ თვით იღებს საკუთარ ხელში თავის ეკონომიურ სვებელს. მხოლოდ მშრომელი მასების შეგნებულს და ენერგიულ თვითმოქმედებას შეუძლია სოციალიზმის წარმოშობა. ხოლო, როდესაც მასებს ბიუროკრატიული ან მილიტარული ძალმომრეობის საშუალებით ახვევენ თავს სოციალიზმს, მისი დამარცხება თავიდანვე აუცილებელია.

რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისაც მოთმინება დაუკარგავს და თავაშვებულად წინ მიისწრაუვის, დემოკრატიას თან სდევს დიდი ნაკლულებანება. არის ისეთი დემოკრატიული ქვეყნები, საცა მცხოვრებთა უმეტესობას დაქირავებული მუშები ჯერ კიდევ არ შეადგენენ, საცა მცხოვრებთა ღიღი ნაწილი მტრულადაა განწყობილი პროლეტარიატისადმი, ან საცა თვით პროლეტარიატი იმდენად მოუმწიფებელია, რომ ყურსაც არ იბერტყს სოციალიზმისთვის. ასეთ შემთხვევაში დემოკრატია დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს იმათთვის-ვინც მოწადინებულია დაუყონებლივ შეუდგეს სოციალისტური წარმოების წესის განხორციელებას.

მაგრამ ნამდვილად ეს ნაკლულევანება კი არა, ღირსება არის. რადგან ასეთ შემთხვევაში დემომკრატია წინ ელობება ისეთ ცდას, რომელიც ყოველ შემთხვევაში დამარცხდებოდა და ღიღი ზიანს მიაყენებდა სოციალიზმის საქმე', ანუ პროლეტარიატის წინსვლას. დემოკრატია წარმოადგენს ბარომეტრს, რომელიც შეძლებას გვაძლევს სწორად გამოვიწოდთ რამდენათ არის მომწიფებული სოციალიზმისთვის ესა თუ ის ხალხი. ვაი იმას, ვინც ამ ბარომეტრის გაფრთხილებას ქარს გაატანს, ან მას ყურს არ ათხოვებს და სხვა სახელმწიფოებრივ ფორმა, მიმართავს იმისათვის, რომ ხმა გააქმიდოს დემოკრატიას. ის აუცილებლად დაიღუპება მის მიერვე შექმნილ ილოუზიდმის მორევში.

მაგრამ დემოკრატია, როგორც ბარომეტრი, ცალმხრივია. მართლია, როცა დემოკრატია რომელიმე ქვეყნებში სოციალიზტურ უმრავლესობას. იძლევა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ არსებობს კიდევაც ნებისკოფა სოციალიზმის განხორციელებისათვის; მაგრამ ეს კიდევ არ

გვაძლევს საშუალებას გამოვიცნოთ, რამდენათ მომწიფებულია ამა თუ იმ შემთხვევაში პირობები სოციალიზმისათვის, რა სახის და რა ხა-
რისხის სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობას გვაძლევს
არსებული ურთიერთობა. ამის გამოსაცნობად საჭიროა დიდი ეკო-
ნომიური და ისტორიული ცოდნა, საკუთარი ქვეყნის მატერიალური,
მორალური და ინტელექტუალური პირობების შემეცნება; აგროვე
სხვა ქვეყნების, სახელმობრ—დაწინაურებულ კულტურულ სახელმწი-
ფოების ურთიერთობის გაცნობაც და, ბოლოს, ცნობა საერთაშო-
რისო მუშაობა მოძრაობისა, მისი ისტორიის, ბრძოლის და ბრძოლა-
თა შედეგებისა.

დემოკრიტის შეუძლია წარმოშვას უმტკიცესი მამოძრავებელი
ძალა სოციალისტურ რეჟიმის დასამკიდრებლად. მაგრამ მხოლოდ
შეცნიერებული შემეცნების საშუალებით, პომლის იარაღსაც მარქსის
შეთოდი გვაძლევს, შეუძლია სოციალისტურ მთავრობას სწორი გზა
გაიკლიოს და პროლეტარიატის განთავისუფლების საქმე იმდენათ
წასწიოს წინ, რამდენათაც ეს შესაძლებელია აწინდელ პირობებში.

მეცნიერული მარქსისტული შემეცნება გვიფარავს ჩვენ იმ უაზ-
რობისაგან, თითქოს სოციალიზმი უბრალო საათის მექანიზმი იყოს,
ორმელსაც გამოცდილი მესაათე გამოიკონებს, ააწყობს და თითქოს
შემდეგ ეს მექანიზმი შესძლებს მუდამ ერთნაირად მუშაობას. მარქ-
სისტული შემეცნება გვიფარავს ჩვენ იმ უაზრობისაგან, თითქოს სო-
ციალისტური მთავრობის ერთად-ერთ საგანს ამ საათის მექანიზმი
აწყობა და მისი ამოძრავება შეადგენს.

ჩვენს რთულ საზოგადოებაში წარმოების მხოლოდ ერთი წესი
კი არ არსებობს; წარმოების კაპიტალისტური წესი მარქსს მიაჩინოს
ჯამართონებულად და არა ერთად ერთ წესათ. კაპიტალისტურ წარ-
მოებასთან ერთად განაგრძობას არსებობას კაპიტალიზმები აღრე არ-
სებული წარმოების მრავალი წესი. თვით კაპიტალისტური წარმოება
და საწყისში ნელა, ხოლო შემდეგ უფრო და უფრო ჩქარო ვითარდე-
ბოდა სამი საუკუნის განმავლობაში; მისი ფორმები სხვადასხვა ქვეყ-
ნებსა, სხვადასხვა დროსა და ინდუსტრიის სხვადასხვა დარგებში
ცვალებადია. მიმართულება, რომლითაც სწარმოებს ეკონომიკური გან-
ვითარება—აი არა ახასიათებს კაპიტალიზმს და ესევე ითქმის სოცია-
ლიზმზედაც. სოციალიზმი ნიშნავს ეკონომიკური განვითარების გან-
საზღვრულ მიმართულებას და არა ერთხელ და სამუდამოდ აწყობილ
მექანიზმს.

კაპიტალიზმის მსვლელობის შიდაოთულებას აზასიათებს საჭაო-

მომ იარაღების და წარმოების უფრო და უფრო მეტი დაგროვება ერთ მუქა კაპიტალის—მაგნატოა ხელში და განუწყვეტელი ზრდა კაპიტალისტთა კლასის მიერ პროლეტარიატის გაყვლეფისა. სოციალიზმი კი ნიშნავს წინააღმდეგ მიმართულებას: საზოგადოების მიერ მსხვილი მონოპოლისტებისათვის საწარმოო საშუალებისა და წარმოების ჩამორთმევის პროცესს, მუშათა კლასის განუწყვეტელ განვითარებას ფიზიკურისა, ზნეობრივი და გონებრივი მხრით და მისი ძალის განუწყვეტელ ზრდას სახელმწიფოსა და საზოგადოებაში. სოციალისტური წარმოების იმ ზომამდე წინ წაწევა, რომ ის წარმოების გაბატონებულ წესად გახდეს და ამ გზით მუშათა კლასის განთავისუფლება—აი რა არის სოციალისტური მოძრაობის საბოლოო მიზანი.

მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის მასიური საღატაკე არსებობს, მას შემდეგ რაც არსებობს პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა,—სოციალისტები იმის ცდაში არიან, რომ სოციალიზმის პირობების შექმნას ხელი შეუწყონ; აი ამ გზით ცდილობდნენ ისინი პროლეტარიატის განთავისუფლებას. ამ პირობებს შეადგენს პროლეტარიატის ორგანიზაციულათ შეკავშირება, მისი ეკონომიური შეგნების განვითარება, ნებაყოფლობითი დისკიპლინის, მოვალეობის გრძნობის, საერთო ინტერესების შეგნების განმტკიცება და აგრეთვე წარმოების პროცესში მისი გავლენისა და მონაწილეობის ზრდა და გაძლიერება. მაგრამ ამ პირობათა შორის არა ნაკლები ადგილი ექვთვნის შრომის ნაყოფიერების განვითარებას, საზოგადოებრივი სიმღიდრის ზრდას-

ამ პირობების ხელის შესაწყობათ მუშაობა შეადგენს აუცილებელ დანიშნულებას როგორც სოციალისტური მთავრობის, აგრეთვე სოციალისტური ოპოზიციის ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ. ამ მხრით მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მთავრობაში მყოფ სოციალისტებს, რა თქმა უნდა, მეტი საშუალება და ძალა შექვეთ, ვინემ ოპოზიციაში მყოფ სოციალისტებს. მაგრამ პროლეტარიატის მთელი იმედი არასოდეს არ უნდა იყოს დაყარებული მთავრობაზე, თუ გინდ ეს უკანასკნელი სოციალისტურიც იყოს. ის მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ საკუთარი ძალონით მიიწევდეს წინ.

აღნიშნულ მოვალეობებთან ერთათ, რომლებიც ერთნაირად სავალდებულოა როგორც სოციალისტური მთავრობისათვის, აგრეთვე სოციალისტური ოპოზიციისათვისაც, პირველის მოვალეობას

შეადგენს კიდევ წარმოების განსაზოგადოებრივებისათვის ხელის შეწყობა ყველა იმ ადგილებსა და ინდუსტრიის იმ დარგებში, საცა საამისოთ საქმაო ზნეობრივი და მატერიალური პირობები მოიპოვება, სახელდომა: წარმოების კონცენტრაცია—ერთი მხრით და მუშათა გონებრივი სიმწიფე, საერთო ინტერესის შეგნება და დისციპლინა—მეორე მხრით. მთავრობამ უნდა ითავოს მეცნიერული კვლევა-ძიების მოწყობა იმის შესასწავლად, თუ წარმოების რომელი დარგის დაუყონებლივი ნაციონალიზაცია ან კომუნალიზაცია იქნება ეკონომიურათ ხელსაყრელი; მეცნიერული კვლევის გზითვე უნდა იქნას შემუშავებული განსაზოგადოებრივებულ წარმოებათა წარმართვის მეთოდები; ეს მთოდები უფრო სრული და ნაყოფიერი უნდა იყოს, ვინემ მანამდის არსებული კერძო კაბიტალისტური ან სახელმწიფო-ებრივ-ბიუროკრატიული წარმოების მართვის წესები; ამ მეთოდებმა საშუალება უნდა მოვგცენ წარმოების ზრდის და გაუმჯობესებისა ახალ პირობებში, როცა წარმოების დარგი იმყოფება საერთოდ საზოგადოების და კერძოდ ამ დარგის მუშების სრულ გავლენის ქვეშ. ამნაირად უნდა დაიწყოს წარმოების პროცესის სოციალიზაცია, რომელიც მით უფრო ჩქარის და სასარგებლო გზით გატარდება, რაც უფრო მეტ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას შევიძენთ პირველად განსაზოგადოებრივებული წარმოების დარგებში.

დემოკრატიის მოპოება, განმტკიცება და გამოყენება; მუშების ორგანიზაციულად შეკავშირება, მათში მეცნიერული ცოდნის, საერთო ინტერესის შეგნების და ნებაყოფლობითი დისციპლინის განვითარებისთვის ხელის შეწყობა; მათი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ზრდა სახელმწიფოში და წარმოების პროცესში; მათი გავლენის იმ ზომამდე განმტკიცება, რომ მათ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობა შესძლონ; შრომის ნაყოფიერების იმ ღანებებისაშე, რომ სამუშაო დროის შემცირებასთან ერთად შესაძლებელი გახდეს ქვეყნაში შრომის ნაყოფის რაოდენობის გამრავლება; დაბოლოს, იქ, საცა პროლეტარიატს სახელმწიფო ძალა-უფლება ხელში აქვს, ყველა ზემოაღნიშნულს გარდა: წარმოების ამა თუ ინდარგის ნაციონალიზაციის შესაძლებლობის და მისი პირობების მეცნიერული შესწავლა, ნაციონალიზაცია წარმოების ყველა იმ დარგისა. რომელიც დაწვრილებით შესწავლის შემდეგ ამისთვის შესაფერად იქნა მიჩნეული,—აი რას შეიცავს მარქსისტული თვალსაზრისის მიხედვით სოციალ-დემოკრატიული პარტიების ტაქტიკა; ეს ტაქტიკა საქმაოდ ელასტიურია და შესაძლებელია შისი შეფარდება კაპიტა-

ლიზმის და პროლეტარიატის განვითარების სხვადასხვა საფეხური-
სათვის.

მე მგონია არ გამოვიწვევ პროტესტს, თუ აქ ნახულისა და მო-
სმენილის მიხედვით ვიტყვი, რომ ზემოხსენებული ტაქტიკა თქვენი
ტაქტიკაც უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, სწორი მეთოდის აღიარება თავისთავად ბევრს
არაფერს შეიცავს. შესაძლებელია საუკეთესო მეთოდსაც ცუდი შე-
დეგი მოჰყვეს, თუ მას მიზანშეუწონლად ხმარობენ.

თქვენს პირობებს მე ჯერ იმდენად გაცნობილი არა ვარ, რომ
შემეძლოს თქმა—მოგსვლიათ თქვენ შეცდომები თუ არა, მაგრამ
სწორედ სასწავლი იქნებოდა შეცდომა რომ არ მოგსვლოდათ.

არას დროს არ მოსდით იმდენი შეცდომა, როგორც პოლიტი-
კური რევოლუციის დროს. როგორც ომში, აგრეთვე ამნაირ რევო-
ლუციაში ყოველივე მოვლენა განსაკუთრებული სისწრაფით, ქარი-
შხალისებურად ვითარდება; მაგრამ რევოლუციაში კიდევ უფრო
მეტად, ვინემ ომში ყოველივე ხდება სრულიად ახალ პირობებში,
რომელთა გავლენით თითქმის ყოველ დღე იქმნება ახალ-ახალი,
მანამდის სრულიად უჩევულო მდგომარეობა, რომელიც არ გაძლევს
მოფიქრების და შესწავლის საშუალებას, მოითხოვს დაუყონებლივ
გადაწყვეტილებას და მოქმედებას.

თანამედროვე რევოლუცია კი ყველგან, საცა ის ხდება, გან-
საკუთრებით უწყობს ხელს შეცდომებს, რაღან ის განსაკუ-
თრებით ძნელსა და მძიმე პირობებში დაიწყო. სხვა რევო-
ლუციიდებისათვის არ იყო იმ ზომამდე საჭირო მალოდ განვი-
თარებული შრომის ნაყოფიერება და მისი შედეგი — ქვეყნის
სიმდიდრე, როგორც ეს სოციალისტურ რევოლუციის ესაჭიროება
გამარჯვებისათვის. და სწორედ თანამედროვე რევოლუცია შეიქნა
უსაზღვრო განადგურების მექვიდრე, რომელიც მოახდინა ომა გან-
საკუთრებით დამარცხებულ ერთა შორის, — სწორედ იმ ერთა შორის,
რომლებშიაც პირველად მოხდა რევოლუცია.

ამ გარემოებით გამოწვეულ დაბრკოლებებს ჩვენ დღეს რევო-
ლუციის ყველა ქვეყნებში ვხედავთ. სიძგირე, შიმშილი, ბინის გასა-
ჭირი, მამოსულის და წარმოების შეფერხება — ამას ყოველივეს ვხე-
დავთ გერმანიაში და ავსტრიაში, ისე როგორც თქვენში.

მაგრამ თქვენში ამ დაბრკოლებებს კიდევ სხვა განსაკუთრებუ-
ლი დაბრკოლებებიც ერთვის, რომლებიც თქვენი ეკონომიკური ჩამო-
რჩენილობითაა გამოწვეული; ეს არის უწინარეს ყოვლისა გაწვრთ-

ნილი სამუშაო ძალების და შრომის ხელმძღვანელების ნაკლებობა ყოველ დარგში, საცა უპირველესად უნდა გატარებულიყო სოციალისტური გარდაქმნა. სწორედ სასწაული იქნებოდა, რომ ასეთ საშინელ პირობებში თქვენს მასებს, თქვენს დამფუძნებელ კრებას, თქვენს მთავრობას ყოველივე შეცდომა თავიდან აეცილებია.

რევოლუციურ დროში შეცდომა აუცილებელია. და ამიტომ ფარისევლობა იქნებოდა ჩვენ რომ ბოლშევიკებს კერძო შეცდომებს ვუკიუნებდეთ.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ორგვარი შეცდომები: არის შეცდომები, რომლებიც წარმოსდგებიან გამოუცდელობისაგან, შემცდარ ვარაუდისაგან, ან არახელსაყრელი პირობებიდან; და არის შეცდომები, რომლებიც შემცდარი მეთოდის შედეგს წარმოადგენენ.

თუ სწორ მეთოდს მისდევთ, მაშინ პირველი რიგის შეცდომების გაკვეთილები მომავლისათვის გამოდგება, გამოცდილებას შევძენს, და ბოლოს, თუმცა იქნებ ძლიერ დიდი სასყიდლის ფასად სწორ პრაქტიკას შეითვისებ. ხოლო თუ ყალბ მეთოდს მისდევთ ეს შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მომავალში შეცდომის თავიდან აცილების ცდა იწვევს ახალს, ხშირად უდიდეს შეცდომას მეორე უკიდურესობის გზით ჩადენილს. აქ ერთი უკიდურესობიდან მეორეს მიაწყდები და გაემძები წინააღმდეგობათა ისეთ ქსელში, რომლიდან ნაც თავის დაღწევა რაც დრო გადის უფრო უიმედო საჭმედ ხდება.

ასეთია ბოლშევიზმის ბედი. მან პირველი დროის ანარქია შესკვალა სახელმწიფოებრივი ბიუროკრატიის ყოვლისშემძლებლობათ; საბჭოთა დიქტატურა—მათ სრულ უძლურებათ; მან დაიწყო ჯარის საესებით დანგრევით და ყოველ მიზეზს გარეშე ზავი ჩამოგდების ქადაგებით და ბოლოს მივიდა იქამდის, რომ ქვეყნი მთელი ძალონე ევროპის ერთ უძლიერეს არმიათავანის შექმნა მოახმარა, დაიწყო ვარშავაზე შეტევა, განიზრახა ამ შეტევის გაგრძობა ვარშავის გაღმა ევრმანიის საზღვრებამდის და მოინდომა გერმანიის წაქეზება საფრანგეთის წინააღმდეგ ამისათვის. თავისი პირველი შეცდომების გამოსასწორებლათ ბოლშევიზმი მიმართავს სრულიად საწინააღმდეგო ზომებს, რომლებიც კიდევ უარეს შეცდომებ წარმოადგენენ. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, ეს აუცილებელ შედეგია ყალბი მეთოდისა, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელო

ბენ ბოლშევიკები, მიუხედავათ ღონისძიებათა და შეხედულებათა ცვალებადობისა.

და თუ თქვენც ვერ შესძელით შეცდომების თავიდან აცილება, იმედი მაქვს, რომ თქვენი მეთოდი შეგაძლებინებს ისწავლოთ თქვენი შეცდომების საშუალებით და მიზანშეწონილი, ნაყოფიერი და სასარგებლო დაწესებულებები შექმნათ. ყოველ შემთხვევაში დასავლეთ ევროპის სოციალისტურ თეორეთიკოსებისა და პრაქტიკული მოღვაწეებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება ოქვენს დაწესებულებათა, თქვენი შეცდომებისა და თქვენი მიღწევათა გაცნობა.

* ის ფაქტი, რომ თქვენმა ქვეყანამ ასე მცირეთ განვითარებული კაპიტალისტური ინდუსტრიის პირობებში სოციალისტური მთავრობა წამოაყენა, სრულიად არ მოწმობს, თითქოს მარქსის თეორია შემცდარი იყოს, როგორც ეს არა ერთხელ უთქვამთ. პირიქით, მარქსისტული თვალსაზრისით ძალიან ადვილად აიხსნება ეს ფაქტი და სწორედ მარქსისტული ტაქტიკა მისცემს საშუალებას თქვენს სოციალისტურ რეჟიმს შეინარჩუნოს თავისი არსებობა და თქვენს ქვეყანას—თავი დააღწიოს იმ ჭაობს, რომელშიაც ის მსოფლიო ომმა გადაისროლა.

ერთ რამეს კი მოწმობს თქვენი მაგალითი: ცხოვრება მუდამ უფრო მრავალფეროვანია, ვინემ თეორია, რომელსაც მხოლოდ უმარტივეს ტიპებთან აქვს საქმე. ის გამოცდილება, რომელსაც აქამდე ეყრდნობოდა მარქსიზმი, აღმოცენებულია დასავლეთ ევროპის ნიადაგზე. ეხლა ის უნდა გავამდიდროთ ჩვენ აღმოსავლეთის გამოცდილებით, საცა კაპიტალისტური და სოციალისტური ტენდენციები საკვირველად გადახლართულან ფერდალურ და ბარბაროსულ ნაშთებთან. ის მოვლენანი, რომლებიც აქ იჩენენ თავს, დასავლეთ ევროპის სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე გაცილებით უფრო რთულია. მაგრამ მათი საესებით გაება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური და სოციალისტური ტენდენციები შეუფისებია. მეორე მხრით, ევროპიელსაც არ ექნება სრული წარმოდგენა მსოფლიოზე, თუ ის ამ უკანასკნელს მხოლოდ დასავლეთ ევროპის სათვალით უჭვრეტს და აღმოსავლეთის პრობლემების თავისებურებას ვერ ამჩნევს.

ამიტომაც, თუ თქვენ უნდა ისწავლოთ ჩვენგან, ჩვენც ვალდებული ვართ ვისწავლოთ თქვენგან. და მე მაღლობას გიძლვით რომ ამის საშუალება მომეცით.

მაგრამ მხოლოდ შესწავლა არ უშეელის საქმეს. აღმოსავლეთ-

სა და დასავლეთს შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო პრაქტიკული ურთიერთშორისი ზეგავლენა, ურომლისოთ შეუძლებელია მსოფლიოს მშეიღობიანი წინსელა.

ამ ურთიერთშორისი ზეგავლენის პროცეტარულ ორგანოდ უნდა გახდეს ინტერნაციონალი. მსოფლიოს ბედილბალი დიდათაა დამოკიდებული როგორც ინტერნაციონალის საერთო სიმტკიცეზე, აგრეთვე მისი თვითონეული წევრის ძალაზე.

V

საქართველო და უცხოეთი.

საქართველოს სოციალისტურ მთავრობას თავს აწევს მრავალი დიადი საქმე, რომლის სავსებით ასრულებას ის მხოლოდ უცხოეთის დახმარებით შესძლებს. ერთი ამ საქმეთაგანი მსოფლიო ომის ეკონომიკური შედეგებისაგან თავის დაღწევაზ მეორე—ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის უცხო მოძალეთაგან უზრუნველყოფა. და, ბოლოს, მესამე—იმ სოციალისტური ზომების გატარება, რომელთა განხორციელების საშუალებას იძლევა საქართველოს აწინდელი პირობები.

1. პირველი საქმის დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია. აუცილებლივ და რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა განიუტონოს ის ჭრილობები, ომია რომ მიაყენა ქვეყანას: უნდა მოეწყოს მცხოვრებთა გამოკვების საქმე, გაცვეთილი საწარმოო იარაღები განახლდეს, ხელახლა აღორძინდეს ეკონომიკური ცხოვრება იქ, საცა ის შეჩერდა, ან შეფერხდა; ხელი უნდა შეეწყოს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას და ზრდას.

საქართველოს, როგორც ომის წყალობით დაქვეითებულ ყველა ქვეყნებს, შეუძლია ამის მიღწევა მხოლოდ იმ სახელმწიფოთა დახმარებით, რომელთათვისაც მსოფლიო ომს ეკონომიკურად დიდი ზიანი არ მიუყენებია და რომელთაც შეუძლიათ ზედმეტი საქონლის ან საწარმოო საშუალებების გაღება.

ყველა ეს ქვეყნები კაპიტალისტური ბუნებისაა და მათში კაპიტალიზმი არ არის შერყეული. ამნაირად, ამგვარ საერთაშორისო დახმარებისათვის მიმართვა იქნება მიმართვა უმთავრესად უცხო კაპიტალისადმი, რომელიც მხოლოდ იქით იბრუნებს პირს, სადაც მას მოგება ეგულება. ეს ძლიერ არა სასიამოვნო ფაქტია სოციალისტური რეჟიმისათვის, მაგრამ ეკონომიკური აუცილებლობა ულმობელი რომ არის და მის წინააღმდეგ აღშოთოება ვერ გიშველის. საჭიროა ასე თუ ისე შევეწყოთ მას.

თვით ბალშევიკებსაც არ შეუძლიათ სხვა გზით თავის დაღწევა; იმათაც უნდა მიმართონ უცხო კაპიტალის დამმარებას რუსეთში სიცოცხლის ძალის აღსაღვენად.

სანამ ქვეყანას არ ძალებს სავსებით დააღწიოს თავი კაპიტალს და ზოგიერთი მიზნებსათვის ჯერ კიდევ საჭიროებს მის დახმარებას, მანამ ის უნდა ერიდოს ყოველივეს, რაც აფრთხობს კაპიტალს. ასეთ ქვეყანაში მთავრობამ, საცა ის კაპიტალისტური წარმოების სოციალიზაციის ახდენს, უნდა უარყოს კონფისკაციის პრინციპი და განახორციელოს ანაზღაურების და გამოხვიდვის პრინციპი.

მარქსისტული სკოლის ეკონომიურათ განათლებულმა ყველა სოციალისტებმა, გარეშე რუსეთისა, ალიარეს ამის აუცილებლობა.

ეს აუცილებლობა ჯერ კიდევ ოცი წლის წინეთ დავასაბუთე ჩემს წიგნში სოციალური რევოლუციის შესახებ.

ამ მოთხოვნილებას ვაყენებთ ჩვენ ეკონომიურის მოსაზრებით და არა სამართლიანობის გულისათვის. ამიტომაც მას არა აქვს ზოგადი ხასიათი. **ფეოდალური მიწის ხაკუთრების კონფისკაცია** ეკონომიურის მხრით ზიანს არ მოიტანს. პირიქით, მის კონფისკაციის ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისათვის სარგებლობა მოაქვს. სხვაა. როცა **აპიტალთან** გვაქვს საქმე. კაპიტალის კონფისკაცია მეტი მეტად მარტივი საქმეა; მაგრამ მას ძლიერ მავნე შეღებები მოსდევს: კონფისკაციის გამო კაპიტალისტები შეაჩერებენ წარმოებას ყველა იმ დარგებში, საცა შეუძლებელია სოციალიზაციის დაუყონებლივ გატარება. ძალიან შემცდარია ის აზრი, თთქმის შესაძლებელი იყოს ძალდატანებით ვაიძულოთ იგინი წარმოება განაგრძონ. აჯუნდა ითქვას იგივე, რაც ჩვენ ზევით იძულებითი მუშაობის შესახებ ვთქვით.

მაგრამ რომც წარმოვადგინოთ, რომ ეს შესაძლებელია, რომც წარმოვიდგინოთ, რომ შევძლებთ ვაიძულოთ კაპიტალისტები განვარდონ წარმოება, ჩვენ ყოველ შემთხვევაში არ გვექნება საშუალება ვაიძულოთ იგინი წარმოებას ახალი კიბიტალი შამატონ. მაშასადამე შეწყდება კაპიტალის აკუმულიაცია (დაგროვება), მოელი. მოგება გაიფლანგება, ეხლანდელ სიღატაკის თავის დაღწევა ეკონომიური წინსვლის გზით შეუძლებელი გახდება. ამ მოსაზრებით დასავლეთ ევროპაში მარქსისტული სკოლის ყველა მიმართულების ეკონომისტებმა ალიარეს სოციალიზაციის დროს ჩამორთმეულ კაპიტალის ანაზღაურების პრინციპი იმ ქვეყნებისათვასაც კი, რომლებიც

უცხოელ კაპიტალის მოწვევას არ საჭიროებენ. მით უფრო აუცილებელია ამ პრინციპის გადაჭრით აღიარება იქ, საცა საჭიროა უცხო კაპიტალის მოწვევა.

თქვენ ვერ აუვლით გვერდს უცხო კაპიტალის მოწვევის აუცილებლობას

უცხო კაპიტალი, რა თქმა უნდა, არ მოგველინებათ საჩუქრის სახით; იმ კრიტიკულ მდგომარეობაში, რომელშიაც თქვენ იმყოფებით, მას ვერც საქონლის გაცვლა-გამოცვლით მიიზიდავთ. მისმა შემოსვლამ თქვენს ქვეყანაში შეიძლება ორგვარი ფორმა მიიღოს. უცხო კაპიტალი შეიძლება თქვენში სახელმწიფო სესხის სახით შემოვიდეს ან და კიდევ მეორე სახით: უცხოელი კაპიტალისტები შეიძენენ ან დაარსებენ თქვენში საინდუსტრიო და სატრანსპორტო დაწესებულებებს. უფრო ხელსუրელია პარველი ფორმა. ის საშვალებას აძლევს მთავრობას სარგებლიანად მოიხმაროს კაპიტალი ან საკუთარ საწარმოო დაწესებულებებში—და ეს არის საუკეთესო შესაძლებლობა, ან და, საცა ეს მოუხერხებელია, მას შეეძლება მისცეს შინაურ მწარმებელთ სასარგებლო კერძო საწარმოო დაწესებულებათათვის კრედიტი, რომელსაც იგინი ვერ მიიღებდენ საკუთარი საშუალებით. თუ სესხის თანხა სარგებლიანად მოხმარდა სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებებს, მაშინ მოგება სახელმწიფოს ხელში დარჩება და მხოლოდ კაპიტალის სარგებელი გავა საზღვარგარედ. მეორე შემთხვევაში კი მოგება მიდის კერძო მწარმებლების ჯიბეში. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ის, კაპიტალის სარგებელის გამოკლებით, რჩება ქვეყნის ფარგლებში და ზრდის მის კაპიტალს და ინდუსტრიულ ძლიერებას, ე. ი. იმ მექავიდრეობას, რომელიც შემდეგში ერთი ხვედრი იქნება.

უცხოეთის დახმარების მეორე ფორმა კი, რომელიც მდგომარეობს უცხო კაპიტალის მიერ საწარმოო დაწესებულებათა შეძენაში ან დაარსებაში, პირიქით, საზღვარგარეთ ეზიდება არა მარტო კაპიტალის სარგებელს, არამედ მთელს მოგებას ერთიანად. უცხო კაპიტალის მიერ ქვეყნის ექსპორტაცია აქ გაცილებით უფრო მწვავეა და შინაური ინდუსტრიის განვითარება გაცილებით უფრო ფერხდება ვინემ პირველ შემთხვევაში.

ამიტომაც, საცა კი შესაძლებელია, პირველ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა. რა თქმა უნდა ძნელი იქნება საქმის შველა მეორე მეთოდის სრული უარყოფით, მაგრამ მას უნდა მიმართოთ მხოლოდ როგორც უკიდურეს საშუალებას, რომელსაც გვერდი უნდა აუროთ როგორც კი მდგომარეობა რამოდენიმედ გამოკეთდება.

შავრამ თქვენ ამჟამად გესაჭიროებათ კაპიტალისტური უცხოეთის
არა მარტო **საწარმოო საშუალებები** და **ნაწარმოები**, არამედ აგრე-
თვე **ძაცხიც**, რომლებიც კარგათ იცნობენ მაღლად განვითარებული
ინდუსტრიული სახელმწიფოების შრომის მეთოდებს და მსოფლიო
ბაზრის ურთიერთობას და ღიდი გამოცდილება აქვთ შექნილი ამ
სფეროში; თქვენ გესაჭიროებათ მათი ცოდნის სარგებლიანად გამო-
ყენება თქვენს პრაქტიკაში. თქვენ გესაჭიროებათ თანამედროვე
მსხვილ ინდუსტრიაში გაწვრთნილი ტეხნიკები, ორგანიზატორები და
მუშები. ვინც ამ მხრით თქვენსავე ქვეყანაში ნიჭისა და უნარს იჩენს,
უნდა მოიწვიოთ ეროვნებისა და პარტიის მიუხედავათ. რა თქმა უნდა,
არ გამოგადგებათ ის, ვინც თქვენი მისწრაფებების მტერია და შე-
საძლებელია საბოტაჟი გაუწიოს. თქვენს მუშაობას; მაგრამ თქვენთვის
ძირითადი ყოველივე მუშავი, რომელიც სპეციალური შრომის დარგ-
ში საჭირო ნიჭითან და უნართან ერთად თავისი სპეციალობისადმი
სიყვარულს იჩენს და მზათაა ხელი შეუწყოს საქართველოს საწარმოო
ძალთა განვითარების. ყოველი მუშავი, თუ ის მზათაა მისთვის მიჩე-
ნილ პოსტზე თავისი მოვალეობა შეისრულოს, დასაფასებელია თუნ-
დაც მისი საერთო პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებე-
ბი **ჩევნი** პარტიის შეხედულებებს არ ეგუზიდეს.

მაგრამ თუნდაც უზომო ხელვაშლილობა გამოიჩინოთ აოლიტიკუ-
რი და ნაციონალური მხრით, მაინც საეჭვოა რომ მსხვილ ინდუსტ-
რიაში გაწვრთნილი საჭირო სამუშაო ძალები საკმარისათ იპოვნოთ
თქვენსავე ქვეყანაში, რომელიც აქამდე, ცარიზმის წყალობით, მრე-
წველობის განვითარების მხრითაც გერის მდგომარეობაში იყო. და-
ყოვნება კი შეუძლებელია. თქვენ არ შეგიძლიათ დაცდა სანამ თქვენ-
სავე ქვეყანაში მოამზადებდეთ საჭირო ძალებს. ამნაირად, საჭიროა
მსხვილი ინდუსტრიის ორგანიზატორების, ხელშძლვანელების, მუ-
შების მოწვევა. აქ ლირსებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ვინემ
რაოდენობას. თქვენ გესაჭიროებათ მხოლოთ გამოცდილი, სერიო-
ზული ძალები. პაეროვანი და უნიადგო პროექტების კაცი თქვენ
მხოლოდ ზიანს მოგაყენებთ.

როგორც ცოცხალი, აგრეთვე უსულო საწარმოო ძალთა შემო-
ზიდვის უმნიშვნელოვანების წინასწარი პირობა ხალხთა შორის თავი-
სუფალი მიმსვლის აღდგენაა. ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც
მსოფლიო ომს ბოლო მოელო; მსოფლიო მიმსვლა კი ჯერ კიდევ
უსასტიკესი დაბრკოლებებითაა შებოჭილი. თუ მსოფლიო ასე ნელა
აღწევს თავს ომის გამანადგურებელ შედეგებს და მრავალგან კიდევ

უფრო უძლურდება ეკონომიურად, ამის ერთ უმთავრეს მიზეზთაგანს ეს დაბრკოლებები შეადგენენ. შეიძლება ითქვას, რომ ომი ისევ გრძელდება ამ დაბრკოლებების სახით; სანამ იგინი არსებობენ, შეუძლებელია სრული სამშვიდობო მდგომარეობის აღდგენა. რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, მით უფრო დამოკიდებულია მისი ბედი თავისუფალ მსოფლიო მიმოსვლაზე, მით უფრო მეტ გასაჭირს იტანს ის მიმოსვლის შეზღუდვის გამო. საქართველოს მდგომარეობა კი განსაკუთრებით ძნელია, ვინაიდან ის თავისუფალი ზღვის პირას არ მდებარეობს: მისთვის ერთად ერთი გასასვლელი გზა დარღანელია, ხოლო დარღანელში გავლა-გამოვლის საქმე სავსებით დამოკიდებულია ორიოდე დიდი სახელმწიფოს ნება-სურვილზე.

როცა ეს დაბრკოლებები მოისპობა და როცა საქართველოს დამოუკიდებლობა საბოლოოდ იქნება ცნობილი, მაშინ თვეენი ეკონომიური აღორძინების საქმე ძლიერ გაადვილდება.

ეს კია რომ სანამ დიდ სახელმწიფოებს კაპიტალისტური მთავრობები უდგანან სათავეში პატარა სახელმწიფოები პოლიტიკურად და ეკონომიურად იმათხე იქნებიან დამოკიდებული. მსოფლიო ომმა და რევოლუციამ ყველა ერებს გაუღვივა მძლავრი მისწრაფება და-მოუკიდებლობისადმი. ამ მისწრაფებამ წარმოშეა მრავალი პატარა ეროვნული სახელმწიფო. მაგრამ გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოთა კუშირი ამ ახალი პატარა სახელმწიფოების საზღვრების დაწესების დროს ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ ამ ერთა ინტერესებით, არამედ აგრეთვე დიდ გამარჯვებულ სახელმწიფოთა საჭიროებებით. და პატარა სახელმწიფოების ფორმალური დამოკიდებულება არის ფაქტურად ცუდათ დაფარული დამოკიდებულება ამათუ იმ დიდ სახელმწიფოზე.

ეს ცუდი გამიჯვნა პატარა სახელმწიფოების სახლორებისა და ეს ფაქტური დამოკიდებულება იმ ინტრიგებზე, რომლებსაც დიდები ურთიერთშორის აწარმოებენ, ქმნიან განუწყვეტელ მერყეობას პატარა სახელმწიფოების მდგომარეობაში, მუდმივ უკავილენობას და ომის საშიშროებას; და ეს ცე იქნება, თუ »ხალხთა საზოგადოებაა არ გახდა ძლიერი და სხვადასხვა დიდ სახელმწიფოთაგან დამოუკიდებელი ფაქტორი, რომელიც დაიცავს ყველა შევიწროებულ ერთა ინტერესებს. ის არ გახდება და ვერ გახდება ასეთ ფაქტორად მანამ, სანამ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკას კაპიტალისტური და მილიტარისტული ხასიათი აქვს.

მაგრამ სრულიად შემცდარი იქნებოდა, რომ ამის გამო ჩვენ

ზურგი გვებრუნებია ხალხთა საზოგადოებისთვის, როგორც ამას
ბალშევიკები სჩაღიან. როცა ჩვენ ამა თუ იმ დაწესებულე-
ბასთან გვაქვს საქმე, უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო
ის, თუ რას ჭარბოდებენ ეს დაწესებულება დღეს, არამედ
ისიც, თუ რად შეგიძლია გაქციოთ ჩვენ ეფი. ჩვენ რომ უკუ-
ვაგდოთ ხალხთა საზოგადოება იმის გამო, რომ ის დღეს დიდს
არაფერს ჭარბოდებენ, ეს იგივე იქნება, რასაც სჩაღიან ანარქის-
ტები, როცა იგინი უარყოფენ სახელმწიფოს. სახელმწიფოს ძალა-
უფლება აქამდე ჩვენს წინააღმდეგ იყო მიმართული; მაგრამ განა
ჩვენ აქედან ის დასკვნა გამოვყენდა, რომ მას არავითარი ანგარი-
ში არ უნდა გავუწიოთ? პირიქით, ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ლონით
ვცდილობდით დაგვეპყრო იგი და გამოვეყენებინა შრომის გასან-
თავისუფლებლად.

და ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენ ხალხთა საზოგადოების მიმართ.
ის არსებობს და იარსებებს, ვინაიდან მისი არსებობა გამოწვეულია
აუცილებლობის მიერ. მისი მოქმედების ხასიათი და მიმართულება
დამოკიდებულია იმ მთავრობათა და ერთა სულისკეთებაზე, რომე-
ლიც მასში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. რაც უფრო მეტი გავლე-
ნა ექნება დასავლეთის დიდ სახელმწიფოებში სოციალისტურ პრო-
ლეტარიატს, მით უფრო ძლიერი და ნაყოფიერი იქნება ხალხთა
საზოგადოება. და თუ თქვენ მისი არაუერი გწამთ, ეს იმას ნიშნავს,
რომ თქვენ არა გაქვთ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ძალის
იმედი.

რაც უფრო ძლიერი იქნება დასავლეთ ევროპის პროლეტარია-
ტი და მაშასდამე რაც უფრო ძლიერი იქნება სოციალისტური ინ-
ტერნაციონალი, მით უფრო მეტი გავლენა ექნება მას ხალხთა სა-
ზოგადოებაზე, მით უფრო უკეთ იქნება დაცული პატარა სახელმწი-
ფოთა ინტერესები, მით უფრო ჩქარა შესძლებს ხალხთა საზოგა-
დოება უომოდ გაასწოროს დღევანდელ საზაონ ხელშეკრულებათა
უკელა ის ნაკლი და წინააღმდეგობა, რომელიც დიდ სახელმწიფოთა
ძალადობის პოლიტიკის ნაყოფს ჭარბოდებენ. მაშინ ხალხთა საზო-
გადოება ადვილად შესძლებს რამოდენიმედ მაინც შეანელოს უომოდ
აგრეთვე ის დაბრკოლებები, რომელიც გამოწვეულია ამა თუ იმ სა-
ხელმწიფოს შინაური პირობებით, მაგალითად — ერთსა და იმავე ტე-
რიტორიაზე სხვადასხვა ეროვნებათა შერეულ მოსახლეობით.

ამნაირად, თქვენი მომავალი დამოკიდებულია ხალხთა საზო-

გადოების ძალისა და გავლენის ზრდაზე, დიდ სახელმწიფოებში სო-
ციალიზმის გაძლიერებაზე, ე. ი. ინტერნაციონალის გაძლიერებაზე.

მაგრამ თქვენ სხვა მხრივაც საჭიროებთ ინტერნაციონალს.

დღევანდელ პირობებში თქვენი პირველი საქმის შესასრულებ-
ლად—მსოფლიო ომისაგან ნაანდერძევი ჭრილობების გასაკურნავად
და თქვენი საწარმოო ძალების ასალორძინებლად—თქვენ იძულებუ-
ლი ხართ უპირველესად კაშიტალისტებს მიმართოთ; ხოლო რაც
შეეხება თქვენს მესამე საქმეს, სახელდობრ, წარმოების და მიმოს-
ვლის საშუალებების ნაციონალიზაციის, ან კომუნალიზაციის გატა-
რებას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აქ თქვენ მხოლოდ უცხოელ
ხოციალისტებითხადან უნდა მოელოდეთ დახმარებას, რამდენადაც ამ
საქმეში თქვენ უცხო დახმარება გესაჭიროებათ.

ყოველ შემთხვევაში, არსებითი დახმარება აქ იმაში გამოიხა-
ტება, რომ დაწინაურებული სახელმწიფოები თქვენ გზასა და მაგა-
ლითს გიჩვენებენ. უმთავრესი კი თქვენვე უნდა შეასრულოთ საუ-
თარი ძალობრით. მაგრამ ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა—რო-
გორიცაა საქართველო ევროპას ვერ გაუსწოებს და ვერ უწინამ-
ძღვრებს წარმოების უმაღლეს ფორმების შექმნაში. პირიქით, მან
უნდა ისარგებლოს ევროპის წინამდლოლობით.

რამდენადაც მე ვხედავ, თქვენ უკვე გაატარეთ ნაციონალი-
ზაცია ყველგნ, სადაც კი შესაძლებელი იყო მისი გატარება იმ პი-
რობებში, რომელიც თქვენ პჰოვეთ, როცა ძალა-უფლება ხელში
აიღეთ. ამაზე შორის წასვლა თქვენ გაგიჭირდებათ, სანამ დასვლეთ
ეკრობას არ მოუცია მაგალითი სოციალიზმის განხორციელების საქ-
მეში. ამ ჟამად გერმანიაში და ინგლისში ქავა-ნახშირის მაღაროე-
ბის ნაციონალიზაცია პროლეტარიატის ბრძოლის მნიშვნელოვან
საგანს შეადგენს. ინგლისში ხუროთა პროფესიულმა კავშირებმა შეა-
დგინეს საწარმოო კომპერატივი, რომელმაც ქალაქების დავალებით
მუშათა სახლები უნდა ააგოს. გერმანიაში ქავა-ნახშირის მაღაროების
ნაციონალიზაციის პირობებს გარდა, სხვა მაღაროების და აგრეთვე
რკინის ინდუსტრიის, ცემენტის დამზადების, ელექტრონის წარმოე-
ბის ნაციონალიზაციის პირობებსაც არკვევენ. ყველა ამ ცდისა და
კვლევის შედეგებს მნიშვნელობა ექნება არა მარტო ინგლისისა და
გერმანიისათვის, არამედ ყველა ქვეყნებისათვის, სადაც კი პრო-
ლეტარიატს ძლიერი გავლენა მოუპოებია სახელმწიფოში.

ეს მაგალითები გაანაყოფიერებს და ხელს შეუწყობს აგრეთვე
თქვენს მისწრ აფებებს და ცდას. თქვენ შეგეძლებათ ბევრი რამ ისწავ

ლოთ ამ მაგალითებიდან. სწავლა, რა თქმა უნდა, ნიშნავს არა ბრმა
მიბაძვას, არამედ დაწინაურებულ ქვეყნებში მიღწეულ შედეგების სა-
კუთარი თავისებური პირობების მიხედვით გამოყენებას.

ზემოაღნიშნული მაგალითების დიდი იმედი პირველ ხანებში
თქვენ არ უნდა იქონიოთ. ეს საქმე ტარდება ყველგან მუშათა კლა-
სის მოთხოვნით და ზეგავლენით, მაგრამ განხორციელებულ უნდა
იქმნეს კაპიტალისტურ მთავრობების და პარლამენტების მიერ, რომ-
ლებიც ეცდებიან შეძლებისდაგვარად საბოტაჟი აწარმოონ.

ნაციონალიზაცია მაშინ წავა წინ ჩქარისა და ენერგიული ნა-
ბიჯით, როცა ერთ-ერთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალის-
ტები ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებს; მაშინ ჩამორჩენილ ქეყ-
ნებსაც მიეცემა საშუალება—ან უკვე არსებულ ინდუსტრიის დარგე-
ბის ნაციონალიზაცია მოახდინონ, ან და ინდუსტრიის ახალი დარგე-
ბი თავიდანვე სოციალისტურ წესებზე აავონ.

მაგრამ მაშინ სხვა სახეს მიიღებს აგრეთვე იმ დახმარების სა-
კითხიც, რომელსაც ჩამორჩენილი ქვეყნები საჭიროებენ უცხოეთიდან
თავის ეკონომიკური მდგომარეობის ასალორჩინებლად. მაშინ საჭირო
აღარ იქნება კაპიტალისტებისათვის მიმართვა. მაშინ სოციალისტუ-
რი ინდუსტრიული ქვეყნები თვით მიაწოდებენ ჩამორჩენილ ქეყ-
ნებს საწარმოო საშუალებებს და სამუშაო ძალას; და ამ შემთხვევა-
ში დახმარების მიზანი იქნება არა ჩამორჩენილი ქვეყნის დამონავება,
არამედ მისი მუშათა კლასის განთავისუფლება და დაწინაურება. ეს
დახმარება დამყარებული იქნება არა ზედმეტი ღირებულების მითვი-
სებაზე დაწინაურებულ ქვეყნის მიერ, არამედ ერთმანეთისათვის გა-
წეული სამსახურის ხელსაყრელ პრობებში ანაზღაურების სისტემაზე.

ამნაირად. თქვენი მომავალი მრავალნაირად დამოკიდებულია
დასავლეთ ევროპაში სოციალიზმის გაძლიერებაზე და ინტერნაციონა-
ლის ძალისა და გავლენის ზრდაზე.

და ამას თქვენც კარგად გრძნობთ, რის დამამტკიცებელია ის
აღფრთოვანება, რომლითაც ამასწინად ინტერნაციონალის დელეგა-
ციას შეეგებეთ.

V

ნეტერნაციონალი

სამწუხაროდ, აქ თქვენი აღფრთოვანება რამოდენიმედ უნდა
გავანელო; ვიცი რომ ამ გზით პოპულიარობა არ მოიხვეჭება, მაგ-
რამ უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტება უნდა აღვიაროთ. ისე არა-

ფერი ავნებს საქმეს, როგორც ილუზიები. ალფროვანება, რომელიც ინტერნაციონალური დელეგაციის ჩამოსულიმ გამოიწვია საქართველოში, რა თქმა უნდა, ფრიად გასახარელია, რამდენადაც იგი ქართველი პროლეტარების ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის სიძლიერეს მოწმობს. მაგრამ მავნებელი იქნებოდა ეს ენტუზიაზმი ინტერნაციონალის ძალის გაზიადებული წარმოდგენით რომ იყოს გამოწვეული.

სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ანტერნაციონალი ამ უამად ძლიერ სუსტ არსებას წარმოადგენს. მსოფლიო ომია მეტად და ქვემა იგი და სხვა და სხვა სახელმწიფოებში ომის შემდეგ ატებილ მა შინაურმა ბრძოლამ უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა ეს დაქაშვა

ბოლშევკიებმა დააარსეს ახალი, მესამე ინტერნაციონალი, რომელიც არამც თუ უარყოფს დემოკრატიას და მის ადგილას დიქტატურას აყნებს, არამედ სცდილობს აგრძოვე მსოფლიოს მთელი პროლეტარული მოძრაობა მოსკოვის კომიტეტის ბრძანებლობის ქვეშ მყოფ ფარულ საზოგადოებას დაუქვემდებაროს.

რუსეთის საზღვრებს გარეშე ძლიერ მცირეა მოსკოვის დიქტატურისათვის უსიტყვოთ დაჭვემდებარების მომხრეთა რიცხვი. დღემდე გერმანიაში 460 დეპუტატთა რიცხვში კომუნისტურმა პარტიამ მხოლოდ ორის გაყვანა შესძლო, დანარჩენმა სოციალისტებმა კი 190 დეპუტატი გაიყვანეს. ამდენათვე უმნიშვნელოა კომუნისტ დეპუტატების რიცხვი სხვა ქვეყნების უმეტეს ნაწილშიაც. ამისდა მიუხედავათ კომუნისტები თავის თავს, რა თქმა უნდა, ყველგან 『მასის』 წარმომადგენლად აცხადებდენ. მაგრამ ეს ფაქტი მოწმობს, რომ—თუ რუსეთსა და იტალიას არ ჩივთვლით—მესამე ინტერნაციონალი ნადვილად პარტიათა უმნიშვნელო ნამტვრევების ინტერნაციონალია.

მეორე შერით ისიც მართალია, რომ ბოლშევიკური იდეების გავლენა გაცილებით უფრო ფართოა, ვინემ კომუნისტური ორგანიზაცია. რუსეთის დიადმა რევოლუციამ და მისი ბელადების სიმტკიცემ ყველგან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და დემოკრატიის მუშათა საბჭოებით შეცვლის იდეამ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში პროლეტარების ფართო წრეები მიიმხრო; ასე მოხდა, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ზოგიერთ იმ სახელმწიფოთაგანში, რომლებმაც ძველი აესტროუნგრეთის აღგილი დაიჭირეს. ეს პარტიები გამოვიდენ მეორე ინტერნაციონალიდან, რომელიც დემოკრატიის ნიადაგზე სდგას. მაგრამ მათ დიდ ნაწილს ჯერ ვერ გადაუშევეტია თავისი ტაქტიკის

მოსკოვის დირექტივებისათვის დაჭვედებარება. თუმცა ეს პარტიები თეორიაში დიქტატურას აღიარებენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, პრაქტიკაში, რეალურ პირობების ძალით და ზეგავლენით, დემოკრატიის ნიადაგზე რჩებიან. ეს ყოველივე სტოკებს მათ მესამე ინტერნაციონალის გარეშე მას შემდეგ, რაც მათ ზურგი აქციეს კიდევაც მეორე ინტერნაციონალს.

თუ მესამე ინტერნაციონალი მხოლოდ პარტიათა უმნიშვნელო ნამტვრევების კრებულია, მეორე ამავად წარმოადგენს სხეულს, რომელსაც აკლია რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი მასიური სოციალისტური პარტია. მის ცენტრს შეადგენს ინგლისის მუშათა დიდი პარტია.

იმ პარტიებმა, რომლებიც მეორე და მესამე ინტერნაციონალის შორის მოქცეულან, ვერ შესძლეს ახალი ინტერნაციონალური ორგანიზაციის შექმნა. პირიქით, იმის მაგიერ რომ ერთმანერთს შეუკავშირდენ, იყინი შინაგანი გათიშვის გზას დასდგომიან, როგორც მაგალითად გერმანიის დამოუკიდებელი, საფრანგეთის და ბოჭემიის სოციალისტები; ამგვარსავე სურათს ვხედავთ ჩვენ იტალიის პარტიაში. ბოლშევიზმი ვერ იტანს თავის წრეებში ვერავითარ დამოუკიდებელ მიღრეუკილებას; ის ვერ მოისცენებს მანამ, სანამ მისი იდეების მომხრე პარტიები, რომელთაც ამასთანავე ტაქტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება სურთ, თავის წილიდან დამოუკიდებლად მოაზროვნე ელემენტებს არ გააძევებენ. თავის თავად ცხადია, ამას შინაური ბრძოლა და ბოლოს გათიშვა უნდა მოჰყვეს.

ამნარად ბოლშევიზმი ყველა იმ პარტიებისათვის, რომლებიც მას უახლოვდებოდენ, გამხდარა მათ წრეში გათიშვის გამომწვევად და მაშასადამე, მათი დასუსტების მიზეზად—გარდა რუსეთისა, საკაის სახელმწიფო ძალა უფლების საშუალებით ახშობს ყოველივე ოპოზიციას. ჩვენ ვხედავთ რომ ევროპის ყველა იმ ქვეყნებში, რომელიც მთლიანად არ ემხრობა მეორე ინტერნაციონალს, სოციალისტური მოძრაობა 1918 წლის შემოდგომიდან მოკიდებული განუშევეტლივ სუსტდებოდა და ამის უპირველესი მიზეზი ბოლშევიკური პროპაგანდაა, რომელიც შლის და გათიშვის გზაზე აყენებს ყოველივე მასიურ ორგანაზაციას, თუ კი მან შიგ ფეხი მოიკიდა.

× ძელი ინტერნაციონალის ადგილას, რომელიც 1889 წლიდან 1914 წლამდე ყველა სოციალისტურ პარტიებს აერთებდა, ვხედავთ მეორე და მესამე ინტერნაციონალს და მათ შორის მდგომ ჯგუფების მთელ რიგს; გერმანიის სორიალ-დემოკრატია რამოდენიმე ნა-

წილათაა გათიშული. არევდარევა—შეიძლება ახლო მომავალში მოსალოდნელი გათიშული—სუფეს საფრანგეთისა და იტალიის სოციალ-დემოკრატიის წრეებში; ამგვარივე მდგომარეობაა აგრეთვე იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინიაში, ბერავ უნგრეთზე ხომ ლაპარაკიც ზეღმეტია—აქ ბოლშევიკურმა ტაქტიკაში სრული განადგურება მოგვიტანა შედეგად: აი ის სურათი, რომელსაც დღეს ინტერნაციონალი წარმოადეს.

ასეთ პარობებში თქვენ ინტერნაციონალისაგან ბევრს არაფერს უნდა მოელოდეთ. ის ვერ შესძლებს თქვენთვის ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას.

მაგრამ ამ განმარტების მიზანია არა იმედის წარკვეთა, არა-მედ მხოლოდ გაფრთხილება. უიმედობისათვის საბუთი არა გვაქვს. სხვა რომ არა იყოს-რა, ის სურათი, რომელიც მე თქვენ დაგიხატეთ, საბედნიეროდ, ევროპის დღევანდელი პროლეტარული მოძრაობის მხოლოდ ერთ მხარეს გვიჩვენებს, იმ მხარეს, რომელსაც სოციალისტური პარტიები წარმოადგენენ-

მეორე მხარეს შეადგენენ პროფესიული კაფშირები, მათი მთლიანობა და ერთსულოვნება, როგორც ცალკე სახელმწიფოების ფარგლებში, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში ომმა მხოლოდ დროებით დაარღვია, ხოლო ომის შემდეგ ეს მთლიანობა ისე გამტკიცდა, როგორც არასოდეს. დასავლეთი ევროპის პროფესიული კაფშირები არასოდეს არ ყოფილან ისე ძლიერნი, როგორც ამ უამად. რევოლუციის შემდეგ იგინი ყველგან საოცრად გაიზარდნენ და საერთაშორისო კაფშირიც მათ შორის ძალიან მჭიდროა. საქართველოს მუშები არ უნდა დაკმაყოფილდენ მხოლოდ მეორე სოციალისტურ ინტერნაციონალთან დაკავშირებას. თქვენმა პროფესიულმა კაფშირებმა რაც შეიძლება მჭიდრო კაფშირი უნდა დაიჭირონ პროფესიულ ინტერნაციონალთან. ამით იგინი გახდებიან მონაწილენი უუძლიერეს საერთაშორისო ორგანოსი, რომელიც ამ უამად მსოფლიო პროლეტარიატს გააჩნია.

თავისი ტაქტიკის ერთგული ბოლშევიკები სცდილობენ გათიშონ აგრეთვე დასავლეთ ევროპის პროფესიული კაფშირებიც. მათ რომ მიზანს მიეღწიათ, ეს იქნებოდა საშინელი ბოროტმოქმედება საერთაშორისო პროლეტარულ კლასიურ ბრძოლის წინაშე, ეს იქნებოდა დანგრევა პროლეტარიატის გაერთიანებული მასიური ერთად-ერთი ორგანიზაციისა, რომელიც კი არსებობს სოციალიზმისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობის ქვეყნებში, ეს იქნებოდა მთელი ქვეყნის

პროლეტარიატის გამათავისუფლებელი მოძრაობის რამოდენიმე ათეული წლით უკან დახვევა. ის შედეგი, რომელსაც ფაქტიურად, მათის სურვილის წინააღმდეგ, მიაღწევდა ბალშევიკების პროპაგანდის მეთოდების გამარჯვება მსოფლიო რევოლუციის გამოწვევის მაგივრად.

მაგრამ საბეჭნიეროთ ბოლშევიკები ვერ შესძლებენ განახორციელონ ეს უდიდესი ბოროტომოქმედება პროლეტარიატის მიმართ. მათი ცდა პროვესიულ კაშირებში გათიშვის გამოწვევისა ერთსულოვან წინააღმდეგობას იწვევს დასავლეთ ევროპის მუშების უკიდურეს წრებშიაც კი. ბოლშევიკების ცდას ამ შემთხვევაში მხოლოდ სრულიად უვიცი, გონიერა-დაბნეული ან უსინიდისო ელემენტები უკერქნ მხარს დასავლეთ ევროპაში. აქ მათ ვერავითარი გავლენა ვერ მოიპოვეს.

მაგრამ სოციალისტური ინტერნაციონალის ეხლანდელი სისუსტეც წარმავალია. ეს დაუძლეულების ხანა ჩქარა გაივლის და ჩვენ ვხედავთ კიდევაც უკეთესი დროის მოახლოვების ნიშნებს.

დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიის მნაშენელოვანმა ნაწილმა ჰალეში უჟუაგდონ მესამე ინტერნაციონალის პოლიტიკა; ეს იმის პომასწავებელია, რომ გერმანიაში ბოლშევიზმა განვლო თავისი გავლენის უმაღლესი წერტილი და ბოლშევიკურ იდეებს შორდება აგრეთვე ის მუშათა მასებიც, რომლებიც აქამდე ძლიერ გატაცებული იყვნენ კომუნისტური იდეოლოგიით.

დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიის იმ ნაწილმა, რომელიც აქმდე მარჯვენა ფრთას წარმოადგენდა, დაიწყო ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. თუ ბოლშევიკური ბრძოლის ცნობილ მეთოდებს მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ ორ ბანაკთა შორის წინააღმდევობამ დღითი-დღე უფრო და უფრო ღრმა და მწვავე ხსიათი უნდა მიიღოს. ამავე დროს, ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრების აუცილებლობა ამიერიდან უფრო და უფრო ხშირად აიძულებს მარჯვენა ფრთის უმრავლესობას ითანამშრომლოს მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატიასთან, რასაც ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი ამჟამად მთავრობაში არ შედის და ოპოზიციურ პარტიად გამხდარა.

ამნაირად მზადდება ნიადაგი გერმანიის მასიური სოციალისტური პარტიების უდიდესი ნაწილის გაერთიანებისათვის, მზადდება ნიადაგი იმ სავალალო გათიშვის თავიდან ასაცილებლად, რომლის წყალობითაც გერმანიაში სოციალისტურმა მთავრობამ ძალა-უფლება ვერ შეინარჩუნა და რევოლუცია აქამდის მხოლოდ დემოკრატიისა

და შრომის მფარველობის სფეროში საქმიანობს, სოციალიზმისათვის კი თვალსაჩინო არაფერი გაუკეთებია.

გერმანია კი იმ სახელმწიფოთაგანია, რომლებიც თავისი მაღლად განვითარებული კაპიტალიზმით და პროლეტარიატით მოწოდებული არიან გზა უჩვენონ და უწინამძღვრონ სხვა ქვეყნებს სოციალიზმისაკენ მსვლელობაში. და სანამ გერმანიის წინსვლა შეფერხებულია, გერმა მსოფლიო გაივლის ამ გზით დიდ მანძილს.

მეორე ქვეყნა, რომელსაც თავისი მაღალი ეკინომიური განვითარებით და პროლეტარიატის სიძლიერით სოციალიზმის გზაზე წინამძღვრობა ხვდა წილად, არის ინგლისი. ამ მხრივ ის ეხლა პირველ ალაგს იჭერს — მას შემდეგ რაც გერმანიის სიმდიდრეს და დამოუკიდებლობას მსოფლიო ომმა ასეთი საშინელი ზიანი მიაყენა.

ინგლისის პროლეტარიატი აქამდე სასესმით ვერ ააშეარავებდა თავის ძალას სახელმწიფოში, რადგანაც ის ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამას ეხლა უფრო და უფრო ელება ბოლო. მსოფლიო ომმა უკიდურესად გაამწვავა წინააღმდეგობა ბრიტანეთის პროლეტარიატსა და მის კაპიტალიზმს შორის. მან ძირიანად შესცვალა დიდი მუშათა პარტიის ხასიათი. ომამდე ეს პარტია წარმოადგენდა სხვადასხვა პროლეტარულ ორგანიზაციათა თავისუფალ კრებულს, რომელსაც არ გააჩნდა განსაზღვრული პროგრამა. ამ ორგანიზაციათა დიდი ნაწილის, სახელდობრ პროფესიულ კავშირების წევრთა უმრავლესობა, ბურჟუაზიულ წინამძღვრობას ემორჩილებოდა, არჩევნებში ბურჟუაზიულ კანდიდატებს აძლევდა ხმას.

ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ინგლისის მუშათა პარტიის წევრები უფრო და უფრო ერთსულოვნად ირაზმებიან ამ პარტიის დროშის ქვეშ და ეს დროშა უფრო და ურო მკაფიოთ გამოსახულ სოციალისტურ დროშად ხდება.

პირველ საპარლამენტო არჩევნებში ომის შემდეგ ინგლისის მუშათა პარტიის ვერ გაიმარჯვა, რადგან ეს არჩევნები ომის პისიმაზის გავლენის ქვეშ ჩატარდა. მაგრამ მას შემდეგ სულიერი განწყობილება შეიცვალა. თითქმის თვითეული დამატებითი არჩევნები მოწმობს მუშათა პარტიის ამრჩეველთა რიცხვის საგრძნობელ ზრდას და საეჭვო აღარაა, რომ უახლოესი საერთო არჩევნები ინგლისში დიდ გამარჯვებას მიანიჭებს მუშათა პარტიას. ზოგიერთი ჩვენი ინგლისელი ამხანაგები გადამეტებულ ოპტიმიზმს იჩენენ; მათის აზრით უახლოესშა არჩევნებმა მუშათა პარტიას უმრავლესობა უნდა მოუპო-

ვოს პარლამენტში. ეს იქნებოდა ნამდვილი რევოლიუცია, რომელ-
საც მეტი და უფრო ურყევი მნიშვნელობა ექნებოდა სოციალიზმი-
სათვის მთელს მსოფლიოში, ვინემ 1917 წლის ოქტომბრის ბალშე-
ვიკურ გადატრიალებას.

თუმცა გადამეტებულათ უნდა ჩაითვალოს ეს მოლოდინი, მაგ-
რამ, ყოველ შემთხვევაში უკეთელია — იმდენად დიდი იქნება მუშათა
პარტიის გამარჯვება, რომ ის გამოიწვევს ეხლანდელი მთავრობის
დამხობას და მის ადგილის ახალის დამკვიდრებას; და ეს იქნება არა
მხოლოდ ახალი პირადი შემაღენლობის მთავრობა, არამედ აგრეთვე
ახალი მეთოდების მატარებელი მთავრობა, რომელიც სხვადასხვა დარგში
პროლეტარიატისა და სოციალიზმისათვის მნიშვნელოვანი დათმობის
გზას დაადგება. ასეთი გზა სავსებით შეესაბამება ინგლისის პოლი-
ტიკის ბუნებას მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის შემდეგ; ამ დროი-
დან მოკიდებული ინგლისის პოლიტიკა წინ უსწრებს ყოველივე ძალ-
დატანებითი გადატრიალებას იმით, რომ თავის დროზე აღგება
დათმობის გზას.

მხოლოდ ერთხელ ულალატეს ინგლისელებმა ამ გზას; იმ ღროს,
როცა შეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო-ამერიკის კო-
ლონიებთან კონფლიქტი მოუვიდათ. ინგლისს ძვირად დაუჯდა ეს დროს
შესაფერისი დათმობის გზის გადახვევა: მან დაჰკარგა ჩრდილო
ამერიკა.

მუშათა პარტიის გაძლიერების შემდეგ, მუშათა მასების გავ-
ლენით ინგლისში, უკეთელია, მნიშვნელოვანი სოციალისტური ზო-
მები გატარდება, როგორც, მაგალითად, სამთამართო წარმოების და
ტრანსპორტის დიდ მონოპოლიათა და აგრეთვე საბინაო საქმის სო-
ციალიზაცია. მაშინ სასოფლო-სამეურნეო ადგილ-მამულის სოცია-
ლიზაციის და საქალაქო ადგილ-მამულის კომუნალიზაციის საჭმეც
ენერგიული ნაბიჯით წაიწევს წინ. წარმოების იმ დარგებში კი, საცა
ჯერ-ჯერობით კაპიტალისტური წესები დარჩება, დიდ გავლენას
მოიპოვებს წარმოების პროცესზე ერთის მხრით საზოგადოება და
მეორეს მხრით — მუშები.

მაგრამ მუშათა პარტიის გავლენის ქვეშ ინგლისის საგარეო
პოლიტიკაც სრულიად სხვა სახეს მიიღებს ვინემ დღეს. დღეს
ეს პოლიტიკა თავაშვებული იმპერიალიზმისა და წინდახედული პა-
კიფიზმის შუა ირხევა; დღეს ის ერთის მხრით ცდილობს ინგლისის
მცყრობელობის გასაძლიერებლად ულმობელად გამოიყენოს მთელი
დედამიწის ხალხები, მეორე მხრით კი მზათაა ხელი. შეუწყოს თა-

ვისი მძლავრი მეზობლებისაგან დაჩაგრული და დევნილი ერების თვითგამორქეცებას; მაშინ კი, მუშათა კლასის გავლენით, ბრიტანეთის პოლიტიკა მთლიან ხასიათს მიიღებს. იმპერიალიზმი და ხალხთა გაყვლეფის პოლიტიკა ქედს მოიხრის მუშათა პარტიის იერიშის წინაშე და ინგლისში შეუძლებელი გახდება ისეთი საგარეო პოლიტიკის წარმოება, რომელიც მუშათა პარტიის მრწმეს ეწინა-აღმდეგება.

ეს მრწამსი კი საესებით ეთანხმება ინტერნაციონალის პრინ-ციპებს. ერთი იმ უდიდესი ცვლილებათაგანი, რომელიც მსოფლიო ომმა ინგლისის მუშებში გამოიწვია, მდგრმარეობს შემდეგში: მათ არამც თუ თავი დაახტიეს ბურუუაზის ხელმძღვანელობას შინაურ პოლიტიკაში, არამედ ფხიზელ ინტერესს იჩენენ აგრეთვე მსოფლიო საქმეებისადმი და საერთაშორისო სოლიდარობის მხურვალე გრძნო-ბით არან გამსჭვალულნი.

მეორე ინტერნაციონალის დაარსებიდან (1889 წ.) მსოფლიო ომამდი ინგლისის მუშათა მასები და მათი ორგანიზაციები ძლიერ სუსტ ინტერესს იჩენდნენ ინტერნაციონალისადმი. ინტერნაციონალის კონგრესებზე ინგლისიდან ჩვეულებრივ მხოლოდ პატარა სოციალისტური ჯგუფები იყო წარმოდგენილი.

ეხლა კი პირიქით: ინგლისის მუშათა პარტაა არა თუ მხურვალე მონაწილეობას იღებს მეორე ინტერნაციონალის მიერ გამართულ ყრილობებზე, არამედ ის ამ ინტერნაციონალის ხერხემალს წარმოადგენს. და თუ დასახელებულ დანაკლისთა მიუხედავად მეორე ინტერნაციონალს მაინც შესწევს ძალი და გავლენა, ამას იყი ინგლისის მუშათა პარტიის ძალასა და გავლენას უნდა უმაღლოდეს. ამავე დროს ინგლისის პოლიტიკას გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პოლიტიკაშიაც; და ეს ასე იქნება მანამ, სანამ გერმანია დაუძლურებულია იმის შედეგების გავლენით, რუსეთი კი ილაჯგაშვეტილია არა მარტო ომის, არამედ აგრეთვე ბოლშევებიზეს წყალობითაც, რომელმაც გაანადგურა მისი ინდუსტრია და აღმოფხვრა ყოველივე დამოუკიდებელი აზროვნება.

სწორედ ის დრო, რომლის განმავლობაშიაც ინგლისი მოწინავე მსოფლიო სახელმწიფოს როლს ასრულებს, შეაღენს კაპიტალისტური ცივილიზაციის სახელმწიფოებში სოციალიზმის საფუძვლის შექმნის ხანას. და აქ ინგლისის საერთაშორისო პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ინგლისი ხელს შეუწყობს მსოფლიოში სოცია-

ლიზმის განხორციელების საქმეს არა მარტო საკუთარი მაგალითით, არამედ აგრეთვე თავისი საერთო პოლიტიკის საშუალებითაც.

ამიტომ მიზანშეწონილი იყო თქვენი მეორე ინტირნაციონალში დარჩენა, მიუხედავთ მისი ეხლანდელი სისუსტისა. ამით თქვენ მჭიდრო კაშშირო დაიჭირეთ ინგლისის მუშათა პარტიასთან.

ახალი დიადი ინტერნაციონალის შექნა, რომელშიაც ყველა ქვეყნის პროლეტართა სოციალისტური პარტიები შევლენ, შეიძლება მხოლოდ იმ პრინციპების საფუძველზე, რომელსაც მეორე ინტერნაციონალი ემყარება და არა მესამე ინტერნაციონალის პრინციპებზე; მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის პრინციპებზე შეიძლება აშენდეს ის ინტერნაციონალი, რომელიც მოწოდებულია დაწინაურუბული ქვეყნების დახმარებით ხელი შეუწყოს სოციალიზმის პრაქტიკულ განხორციელებას მთელს მსოფლიოში და რომელიც აგრეთვე თვენს საქმესაც ენერგიულად წასწევს წინ.

ამნაირად სოციალიზმის საქმის ჩქარი და გარდამწყვეტი ჭინ-სვლის ნიშნები ძლიერ გამამხნევებელია.

VI

გამარჯვების პირობები.

მებრძოლი პროლეტარიატი და საზოგადოთ მთელი მშრომელი მასები დღეს-დღეობით, რა თქმა უნდა, მძიმე დროს განიცდიან. ვეებერთელა დაბრკოლებანი გველობება წინ. განსაკუთრებით დიდია ეს დაბრკოლებები საქართველოში, საცა მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ეკონომიური ჩამორჩენილობა და ძალა ნაკლებობა. მაგრამ თქვენ განვლეთ სუსხიანი სკოლა ცარისამთან ბრძოლისა. თქვენ გამოწრობილი ხართ ბრძოლაში, არასოდეს შედრეკებით, თავი მუდამ ღირსეულად გიჲირავთ და უსაშინელეს მდგომარეობაშიაც არ ჰკარგავთ იმედს და მტკიცეთ იბრძვით არსებობისათვის.

ეს სიმტკიცე და გამარჯვების იმედი შეგითვისებიათ თქვენ ჩვენი დიადი მასწავლებლების, მარქსისა და ენგელსის მცნებიდან, რომლებმაც ურყევად დაამტკიცეს ის, რაც მათ შემდეგ უფრო და უფრო მართლდებოდა: პოლიტიკურად, ეკონომიურად და საზოგადოებრივად მომავალი პროლეტარიატს ეკუთვნის და დედამიწის არავითარ ძალას არ შეუძლია შეაფერხოს მისი საბოლოო გამარჯვება, რომელიც ბუნებრივის უცილებლობით გამომდინარეობს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებისაგან. მაგრამ მარქსია და ენგელსმა შეგვძინეს ჩვენ არა მხოლოდ საბოლოო მიზნის შეგნება და რევოლიუ-

ციური იმედი. მათ გვასწავლეს აგრეთვე, რომ თითოეულ მომენტი-
სათვის უახლოესი პრაქტიკული. მიზნების დასახეის ღრმას უნდა
ვიხელმძღვანელოთ არა მხოლოდ ჩვენი მოთხოვნილებებით, არამედ
ამჟამად არსებული ეკონომიური და პოლიტიკური პირობების
შემეცნებითაც. ჩვენ რომ პრაქტიკულ პოლიტიკას მხოლოდ ჩვენს
მოთხოვნილებებს ვუქვემდებარებდეთ, მაშინ ამ პოლიტიკის საგანი
იქნებოდა ყოველ წუთს უმაღლესი და უდიდესი მიზნების დაუყონებ-
ლივი განხორციელება. ასე იქცეოდენ სოციალისტები მარქსამდე.
მარქსმა გვასწავლა, რომ უმაღლეს საბოლოო მიზანს უნდა შევუთან-
ხმოთ აწინდელი პირობების გრძივრული დაფასება და აგრეთვე ის
თვითგანსაზღვრა, რომელიც გატეს საუცხოო თქმით, ჭეშმარიტ მო-
ძღვარს ახასიათებს. არსებული პირობებიდან გამომდინარე სადღეისო
მიზნების საბოლოო მიზანისთვის შეგუებით ხელმძღვანელობდენ თა-
ვის მოქმედებაში ის სოციალისტური პარტიიბი, რომლებიც დაარსდა
და გაიზარდა გასული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში მარქს—
ენგელსის და მათი მოწაფეების—მათ შორის უწინარეს ყოვლისა ბე-
ბელის—ხელმძღვანელობით. ამ შეგუების წყალობით იყო, რომ აღნი-
შნულმა პარტიიბმა შესძლეს რევოლუციური ენტუზიაზმის შენარ-
ჩუნება და მასთან ერთად ყოველ მომენტში მხოლოდ ისეთი უახლო-
ესი მიზნების დასახვა, რომელთ მიღწევა შესაძლებელი იყო, ვინაი-
დან იგინი არსებულ პირობებს და ძალა-განწყობილებას შეესა-
ბამებოდნენ.

იმ სოციილისტურმა პარტიიებმა. რომლებიც ამ პოლიტიკას
მისდევდნენ, თავის წარმოშობიდან უკანასკნელი ნახევარი საუკუნის
განმავლობაში შესძლეს თავიდან აეცილებიათ ყოველივე დიდი და-
მარცხება; მათი ძალა განუწყვეტლივ იზრდებოდა და დღეს ჩვენ ვხე-
დავთ, რომ ეკრობის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებში იგინი მთე-
ლი ძალა-უფლების დაპყრობის წინ დგანან: ეს ის პარტიებია, რო-
ელნიც ამ ორმოცდა ათი წლის წინად ერთ მუჭა ხალხს წარმოად-
გნედნენ და რომელთ წევრებს მაშინ მეტიჩარებად ნაიღლავდნენ.

საჭიროა არსებული პირობების შესწავლა იმის გამოსარკვევად,
თუ რის განხორციელება შეიძლება ამ პირობებში. მაგრამ ის კი არ
უნდა ვიფრიქოთ, თითქოს შესაძლებელი იყოს ამის თავისთავად გან-
ხორციელება. მარქსის მცნების ასე გავება, მისი დამახინჯება იქნე-
ბოდა. ჩვენ უნდა ვეცადოთ ცხოვრებაში გავატაროთ ყოველივე ის, რის
მიღწევაც შესაძლებელი იქნება ძთელი ჩვენი ძალ-ლონის საშუალებით.
ამნაირად იმას, რაც ჩვენ მისაღწევად მივიჩნიეთ, მთელი ჩვენი ენერ-

გია და თავდადება უნდა შევსწიროთ; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შესაძლებელს სინიშტილეთ ვერასოდეს ვაქეცეთ.

ამ მხრივ ბოლშევიკები განსაკუთრებულ თვისებებს იჩენენ. მათი რკინის ენერგია და ნებისყოფა, დაუღალაობა, სიმტკიცე, სიფხიზოლე და სამოქმედო ძალა ცწორედ რომ სამაგალითოა. ეს თვისებები დაუპირისპირებ ბოლშევიკებმა „აბლომოვშინას“, რომელსაც მხოლოდ დისკუსიის და ოცნებობის ძალა შესწევს, და რომელიც მოქლებულია მოქმედების უნარს; ამის წყალობით გახდნენ იგინი რუსეთის ბატონ-პატრიანნი და თავის მაგალითით თავბრუს ახვევენ მსოფლიო პროლეტარიატის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს დიადი მოქმედების ძალა მართლაც რომ სამაგალითოა, აյ ჩვენ ბოლშევიკებს უნდა მიებაძოთ. ამ ძალას რომ არსებული პირობების კვლევა და მათი გათვალისწინება ახლდეს თან, ბოლშევიკები დიადსა და ურყევ საქმეს განახორციელებდენ. მაგრამ იგინი არ უწევენ ანგარიშს არსებულ პირობებს, არ ქმაყოფილდებიან მისაღწევი მიზნების განხორციელებას; იგინი მისდევენ მარტო მოთხოვნილებების ხმას, მოთხოვნილებების დაქმაყოფილება კი შეიძლება მხოლოდ საბოლოო მიზნის სრული განხორციელებით; საბოლოო მიზნის ცხოვრებაში გატარება განიზრახეს მათ თავიანთი ბატონობის დასაწყისშივე და თავის მოქმედების პრინციპად დაუდევარი უსაზომობა გაიხადეს.

და ამით უღალატეს ბალშევიკებმა მარქსს. ამ ვზით მათ გამარჯვებისა და ეკონომიური წინსვლისაკენ კი არ მიჰყავთ პროლეტარიატი, არამედ დამარცხებისა და უკიდურესი სიღატაკისაკენ. სრულად ყალბია ის თეორია, ბალშევიკებმა რომ თავის თავისა და თავიანთი მიმდევრების სანუცეშოდ წამოაყენეს: თათქოს გამარჯვება მასებს ბრძოლის წყურვილს ულვივებდეს და გამარჯვებისათვის ამზადებდეს; თითქოს სოციალურმა რევოლუციამ ჯერ აუცილებელივ ეკონომიური განადგურება და უკიდურესი გასაჭირი უნდა მოუტანოს ხალხს, რომ შემდგომ კეთილდღეობა მიანიჭოს მას. დამარცხება ბრძოლისათვის კი არ აქეზებს მასებს, არამედ იმედს უწყვეტს მათ. და როდესაც რევოლუცია გამუდმებულ გაქიცრებას არგუნებს მათ წილად, იგინი ადგილად გადადიან ხოლმე კონტრლევოლიუციის ბანაკში. საბედისწერო იქნებოდა თქვენშიაც რომ იწამონ მასებმა თითქოს მათი გაჭირება შედევი იყოს რევოლუციისა და არა მსოფლიო ომის, რომელიც რევოლუციით დამთავრდა. რევოლუციის არაფერს შემატებს ის გარემოება, რომ გაორ-

კეცებული ჯიუტობით და უკიდურესი ზომებით ცდილობენ გამოსწორონ შემცდარი პოლიტიკის წყალობით გაფუჭებული საქმე. რაც უფრო დაგვიანდება ამ ზომების წყალობით აუცილებელი კატასტროფა, მით უფრო საშინლად დამთავრდება იგი. ეს ბედი არგუნა გერმანიის ხალხს გერმანიის მილიტარიზმა; ასეთსავე საზარელ ბედს უმზადებენ რუსეთს ლენინი და ტროცკი—ეს კომუნიზმის ლიუდენდორფი და ჰინდუსტრიული; და ის საშინელი კატასტროფა, რომელსაც იგინი რუსეთს დაატეხენ თავს, მთელი შესოფლიოს სოციალიზმს შეარყეს.

ამნაირად, ბალშევიკური სამოქმედო ძალა, დაუღალაობა, გამბედაობა, მაგრამ ამ ოვისებების უკონომიურად და პოლიტიკურად მისაღწევი მიზნებისათვის გამოყენება—აი თქვენი გზა. თუ თქვენ მუდამ ამ გონივრულად და საფუძვლიანად შემოფარგლულ საზღვრბეში იმოქმედებთ, ამასთანავე რევოლუციურ აღფრთოვანებას შეინარჩუნებთ და გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად გაიხდით ჩვენს დიად საბოლოო მიზანს, რომელსაც თვითონეული თქვენი ყოველდღიური ნაბიჯი უნდა ეგუებოდეს; თუ არასოდ შედრებებით და თავს მუდამ ღირსეულად დაიჭირო, მაშინ თქვენ შესძლებთ ყოველივე საფრთხის აცილებას და დაბრკოლების გადალახვას იმ დრომდე, სანამ ინტერნაციონალი საკმაოდ მოლონიერდება, რომ თქვენ დახმარების ხელი მოგაწვდინოს და სოციალიზმისაკენ ჩქარი ნაბიჯით სვლა გაგიადვილოს.

თუ ეს შესძელით, დიად საქმეს შეასრულებთ—და არა მარტო თქვენი პატარა ქვეყნისათვის.

მთელი აღმოსავლეთი ევროპა და აზიის დიდი ნაწილი განიცდიან თქვენი მდგომარეობის მზავს მდგომარეობას. დემოკრიტიულ წვრთნას მოკლებული, მცირერიცხოვანი ინდუსტრიული პროლეტარიატით, სოფლად ნახევრად ფეოდალური და ხშირად ბარბაროსული ურთიერთობით—იგინი ეხლა დგმენ ფეხს რევოლიუციურ ხანაში,— იმ დროს, როცა დასვლეთში სოციალისტური რევოლიუცია იწყება. ამ ქვეყნების რევოლიუციას, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის საფეხურს უდრის, წინამძლოლობენ დასავლეთის სოციალიზმები აღზრდილი პროლეტარიატი და ინტელიგენცია.

როცა ასეთ პირობებში ქვეყნას სათავეში უდგება სოციალისტური მთავრობა, მას ადვილად იტაცებს ბოლშევიკური მეთოდი. რუსეთში რომ გამართლებულიყო ეს მეთოდი, მაშინ იგი გადამჭრელ როლს ითამაშებდა მთელი აღმოსავლეთი ევროპისა და აზიის დიდი

ნაწილისათვის. მაგრამ ბალშევიჭურმა რეუიმმა თავისი არსებობის შენარჩუნება შესძლო მხოლოდ ინდუსტრიული წარმოების საუკეთელის განადგურებით და ამიტომ ბოლოსდაბოლოს მას ყველგან ზურგს აქცივენ.

თქვენ კი სოციალისტური პეტრე დიდის დიქტატურას დემოკრატიის მეთოდი არჩიეთ. არსებულ პირობებში მხოლოდ ამ მეთოდის საშუალებით შეიძლება მუშათა მასების საბოლოოთ განთავისუფლების მიღწევა. მაგრამ თქვენც წინ გელობებათ დიდი დაბრკოლებები, რომელნიც ეკონომიური და გონიერივი ჩამორჩენილობით არის გამოწვეული,—მე არ ვიხსენიებ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ომსა და მის მიერ ნაანდერძევ სიღატაკეს უნდა მიეწეროს.

თუ თქვენ შესძლით იხეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც სოციალიზმისაკენ სვლას ხელს შეუწყობს და ამასთანავე, თქვენი საკუთარი ძალების ნაკლებობის და ჩამორჩენილობის მიუხედავათ, ეკონომიურ ცხოვრებასაც აღორძინების გზაზე დააყენებს; თუ შესძლით, ერთსა და იმავე დროს პროლეტარიატის ინტერესების დაცვა და ინდუსტრიისათვის საჭირო ახალი კაპიტალის შემატება,—მაშინ თქვენ სრულიად განსაკუთრებულ საქმეს შეასრულებთ, მაშინ თქვენი მეთოდი სამაგალითო უნდა გახდეს აღმოსავლეთ ევროპისა და მთელი აღმოსავლეთისათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეპყრობილია რევოლიუციური მისწრაფებით.

მაშასადამე თქვენ მხოლოდ თქვენთვის კი არ მუშაობთ; და, დე, ამის შეგენებამ გაგიორკეცოს თქვენ მისწრაფებათა ძალა, გაგიკაუს ნებისყოფა და ენერგია!

არის პატარა ქვეყნები, რომლებიც მათის გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით განსაკუთრებული დანიშნულებისთვის არიან მოწიდებულნი. ამ ქვეყანათა რიცხვს ეკუთვნილა პალესტინა, რომელიც ორ უძველეს კულტურულ ცენტრს—ეგვიპტეს და მესოპოტამიას აერთებდა. ამავე ქვეყნებს ეკუთვნის საქართველო.

კავკასიონის ქედსა და სომხეთის მაღლობს შუა მდებარე ბარი წარმოადგენს გასავალს შიდა აზიდან დასავლეთისაკენ; ამ გზას ბევრი დაღუპვისაკენ წაუყვანია, ბევრისათვის ხსნა მოუპოებია. ძველ დროში შავი ზღვის გზით საქართველო ეზიარა საბერძნეთის კულტურას და მისი გამტარებელი იყო აღმოსავლეთით. მაგრამ შემდგომ საქართველოს გზით შიდა აზის ველებიდან გამოეშურენ მტაცებელი მომთაბარენი, რომლებიც საბერძნეთის იმპერიაში შექრას ლამობდენ. ამ მტაცებელ მომთაბარეთა მოგერიებაში დაუძლურდა საქართველოს

კულტურა და სრულიად დაეცა, როცა მეორე გზით თურქები შეიჭრენ სტამბოლში და საბერძნეთის იმპერიას ბოლო მოულეს. ამან სავსებით მოსწყვიტა საქართველო დასავლეთს.

მხოლოდ გასულ საუკუნეში შესძლო მან აღმოსავლეთთან ურთიერთობის აღდგენა; მაგრამ ამ ურთიერთობას სასტიკად ზღუდავდა რუსეთის აბსოლიუტიზმი, რომელმაც დაიმონავა საქართველო. მაინც საკარისი იყო მზის ამ ძუნშსა და მკრთალ სხივებს მიეღწია საქართველომდი, რომ მასში ახალი ცხოვრება და მძლავრი მისწრაფება აღმოცენებულიყო. ის ხელახლა, როგორც ძველად, შეიქნა ხიდად მწუხრისა და განთიადის ქვეყანათა შორის, დასავლეთის კულტურის გამტარებლად ადმოსავლეთში.

ამ მოწოდებას თავისუფლად და სავსებით ვერ შეასრულებდა იგი რუსული მათრახის ქვეშ. მაგრამ ეხლა, რევოლიუციის წყალობით, მას შეძლება ეძლევა თავისუფალი გზა მისცეს თავის ნიჭს. ეხლა მას შეუძლია გაორკეცებული ძალლონით და მეტის ნაყოფიერებით კვლავ შეუდგეს თავისი დანიშნულების ასრულებას.

საქართველოში იშვა ბერძნული მითი პრომეთეოსისათვის. კავკასიონში იმყოფებოდა ის კლდე, რომელზედაც თანახმად თქმულებისა, განრისხებულმა ლმერთებმა მიაჯაჭვეს მძლავრი მებრძოლი; ლმერთების სურვილის წინააღმდეგ მან ადამიანებს ცეცხლი მოუტანა და ამისათვის უნდა დასჯილიყო.

და აი, მებრძოლმა დაამსხვრია ბორკილები და კვლავ ძალუძს ხალხებს გამათბობელი ცეცხლი, შუქმფენი სინათლე მიაწოდოს. სოციალიზმი წარმოადგენს დღეს ამ გამათბობელ ცეცხლს, ამ შუქმფენ სინათლეს. გისურვებთ სრული წარმატებით შეგესრულებით ეს მოწოდება!

